ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2021 წელი, 19 თებერვალი, №1 (6528)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 50 თეთრი



ეს ჩვენი ერის დიდებული ისტორიაა, დავით გარეჯი არამც თუ არის... ყოველთვის იქნება საქართველო

დავით გარეჯი ჩვენი დედასამშობლოს – საქართველოს ისტორიული მინაა, ჩვენი სულიერობის მთელი ისტორია, სადაც არაერთი ლოცვა და უფლის მიმართ სამშობლოს შესავედრებელი აღუვლენიათ, გარეჯის ქვაბულების კელიებიდან, ჩვენს მეუდაბნოე ქართველ ბერებს, რომლებიც დამპყრობთა ცეცხლისა და მახვილისაგან მონასტრის დაცვას ფიზიკურად ეწირებოდნენ.

დავით გარეჯი საქართველოს ისტორიული კუთვნილება რომ არის, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობაც სწორედ ამიტომ იბრძოდა მის დასაცავად და გადასარჩენად. ისინი საბჭოთა ჯარს წინ გადაუდგნენ და მკერდი ტყვიას მიუშვირეს იმის გამო, რომ სამხედრო წვრთნებისას ფრესკები არ დაეზიანებინათ.

დავით გარეჯის თემა დღესაც ისევე აქტუალურია, შეიცვალა მხოლოდ ის, რომ ახლა მონასტრის ნაწილს აზერბაიჯანული ჯარი აკონტროლებს...

დავით გარეჯის ისტორიაზე, მის დამაარსებელზე, სამონასტრო ცხოვრებაზე და დღევანდელ იქ შექმნილ ვითარებაზე გვესაუბრება ნათლისმცემლის ტაძრის დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი.

– მამაო, საიდან იღებს სათავეს დავით გარეჯის ისტორია?

– კომპლექსი დაარსდა VI საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის მიერ. იგი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა, ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით.

დავითის ლავრა გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი იყო. დროთა ვითარებაში მას განმტოებები შეემატა. გარეჯა ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „გარეჯის მრავალმთის ათორმეტნი მონასტერნი“. ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს: მეფე დემეტრე II-ის დროს სადუნმა „იქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელი დღეთა ცხოვრებისა მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განათავისუფლა ქუეყანა გარეჯისა და მსახურებდა მეფესა დიმიტრის“.

დავითის ლავრის გარდა, გარეჯის მრავალმთის ათორმეტ მონასტერში შედიოდა კიდევ თერთმეტი მონასტერი: აღდგომისა წამებული, ბერთუბანი, დოდოს რქა, იოანე ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, მაღაზანა ანუ მღვიმე, ქოლაგორი, მოხატული, ვერანგარეჯა და პირუკუღმარი. ეს მონასტრები მტკვრის პარალელურად გადაჭიმულ გარეჯის მთებსა და ივრის ხეობის ქვედა ნელის მიდამოებში განლაგებულ ხრიოკ კლდეებში მდებარეობენ.

დავით გარეჯის მონასტერთა საქმიანობა თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქართველი ხალხის როგორც რელიგიურ, ისე საერთოდ კულტურულ ცხოვრებაში. XII საუკუნის დასაწყისში დავით IV აღმაშენებელმა დავით გარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, ხელს უწყობდა მათ დაწინაურებას. მონასტრები გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. 1265 წელს მონღოლთა ლაშქარმა ბერქა-ყაენის სარდლობით დაარბია და მოაოხრა დავითგარეჯა და მისი მიდამოები.

XIV საუკუნის I ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, დავითგარეჯა მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. მონასტერთა მესვეურნი მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობაში და ქვეყნის საეკლესიო საქმეთა მართვაში. XIV საუკუნის ბოლოს თემურ ლენგის მრავალგზის ლაშქრობების დროს, სამონასტრო ცხოვრება მოიშალა.

1424 წელს ალექსანდრე I დიდმა დავითგარეჯა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1616-1617 წლებში სპარსელთა ლაშქარმა დაარბია და მონასტრები გაუქმდა.

1639 წელს თეიმურაზ I-მა აღადგინა აქ სამონასტრო ცხოვრება და XVIII საუკუნეში დავით გარეჯა კვლავ მეფის ხელდებული გახდა. მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები და სოფლები. იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. დავით გარეჯის მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება.

– ვინ იყო დავით გარეჯელი და მოგვიყევით მისი მოღვაწეობის შესახებ.

– გარეჯის მონასტრის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი – ღირსი დავით გარეჯელი იღუმენი წარმოშობით სირიიდან იყო და ანტიოქიის (ამჟამად ანთაქია, თურქეთი) მახლობლად მდებარე უდაბნოს ერთ-ერთი მონასტრის იღუმენი იოანესთან (შემდეგში იოანე ზედაზნელი) ერთად მოღვაწეობდა.

იღუმენმა იოანემ „ბრძანება მიიღო ანგელოზისა მიერ, რათა ათორმეტით მოწაფითურთ თვისით წარმოვიდეს ქართლად“ და 536 წლის ახლო ხანებში, ქართლის მეფე ფარსმან მეექვსისა (535-537) და კათოლიკოს ევლალიოს პირველის (530-540) დროს, თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად, რომელთა შორის მონაზონი დავითიც იყო, საქართველოში ჩამოვიდა.

სირიელი მამები, თავდაპირველად ზედაზნის მთაზე დაემკვიდრნენ სამოღვაწეოდ, შემდეგ კი კათოლიკოს ევლალიოსის კურთხევით, ქართლ-კახეთის სხვადასხვა მხარეში წავიდნენ და მათი ქადაგებითა და ღვაწლით მრავალი ადამიანი მოექცა ქრისტიანობაზე და აღორძინდა და განმტკიცდა სამონაზვნო ცხოვრება.

მონაზონი დავითი, მის ერთ მოწაფე ლუკიანესთან ერთად, რომელიც სავარაუდოდ, წარმოშობით ქართლიდან იყო, თბილისის მახლობლად მდებარე მთაზე დასახლდა და მთელ დროს ლოცვასა და შრომაში ატარებდნენ.

დავითი კვირაში ერთხელ ლუკიანესთან ერთად ჩადიოდა თბილისში და მათი ქადაგებით მრავალმა წარმართმა მიიღო ქრისტიანობა, შეშფოთებულმა ქურუმებმა ერთი ფეხმძიმე მეძავი დედაკაცი მოისყიდეს და მონაზონ დავითს მასთან მრუშობა დასწამეს.

დავითმა კვერთხი შეახო დედაკაცის მუცელს და წარმოთქვა: „შენ გიბრძანებ ჩვილო, გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რათა გვაუწყო

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

„ვითმენდი, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო!“ – რას ჰყვება კარტოგრაფი, რომელიც სკანდალური რუკის ექსპერტიზაში მონაწილეობდა

„ქართული კარტოგრაფიული და ტოპოგრაფიული სკოლების ფუძემდებლის, სერგი ცხაკაიას პასუხისმგებელი რედაქტორობით გამოცემულ რუკას ივერი მელაშვილი აყენებს ეჭვქვეშ?“

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის ყოფილი წევრების, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას გიროაოი გათავისუფლების შემდეგ ამ საკითხის ირგვლივ ვნებათაღელვა არ წყდება. გასულ კვირას გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ბრალდებულ ივერი მელაშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა. ის ამტკიცებდა, რომ რუკა, რომელზეც დიდი აჟიოტაჟი ატყდა, უვარგისია და მისი გამოყენება შეუძლებელია, მაგრამ საქმეში არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, რითაც სულ სხვა რამ მტკიცდება. ამ ექსპერტიზაში პროფესიონალი კარტოგრაფები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრის პროფესორი, კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გორდეზიანი.

– ბატონო თენგიზ, ივერი მელაშვილი 1938 წლის 1:200 000 რუკას ყალბ 100-ლარიანს ადარებს და ამბობს, ეს იგივეა, ყალბი ფული დაუდო მეორე მხარეს და დაუწყო მტკიცება, რომ ის ნაღდიაო. რას იტყვით ამაზე?

– 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა შედგენილია მიუფლინგის მრავალწახნაგა კარტოგრაფიულ პროექციაში, ამ პროექციაში ადგენდნენ ტოპოგრაფიულ რუკებს 1942 წლის ჩათვლით. 1942 წლის შემდეგ, 1991 წლამდე, ტოპოგრაფიულ რუკებს გაუს-კრიუნგერის ცილინდრულ პროექციაში ადგენდნენ. ამ ორივე

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

... ინფექციისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა: პირბადე, ხელების ხშირი დაბანვა-დეზინფექცია და დისტანცია...

გასული წლის ფინიშზე კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების მასშტაბებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში, რადგანაც კორონა ვირუსით დაავადებულთა ყოველდღიურმა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ფაქტია, რომ ეპიდემიის მეორე ტალღამ გააუარესა ქვეყანაში ეკონომიური მდგომარეობა და მთავრობა იძულებული გახდა შეზღუდვები დაეწესებინა სხვადასხვა მიმართულებებით.

ყვარლის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში გარკვევის მიზნით ყვარლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორს ვთხოვეთ ამ თემაზე საუბარი.

– ბატონო მერაბ, ყვარლის მუნიციპალიტეტში როგორია ვირუსის გავრცელების სტატისტიკა?

– ყოველდღიურად, ტელევიზიის თუ პრესის საშუალებით ჩვენთვის ცნობილი ხდება მსოფლიოში კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენები.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით კორონა ვირუსი გავრცელებულია ყველა კონტიტეტნტზე. დაინფიცირებულია 83 მილიონზე მეტი ადამიანი, გამოჯანმრთელებულია 60 მილიონამდე და გარდაცვლილია 800 000-მდე ადამიანი.

საქართველოში 17 თებერვლის მონაცემებით სულ დადასტურებულია 266948 შემთხვევა, გამოჯანმრთელებულია 259727 (96%) და გარდაცვლილია 3390 (1, 2%) ადამიანი.

მინდა გაგაცნოთ ამ მხრივ ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა: ინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წლის სექტემბერში სოფელ ენისელში,

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

სტიმულირების პროგრამა გრძელდება, ფერმერები იაფი დიზელის საწვავით და დარიცხული აგროქულებით კვლავ ისარგებლებენ

საქართველოს მთავრობა მიმდინარე წელს ანტიკრიზისული გეგმით კვლავ მნიშვნელოვან დახმარებებს სთავაზობს ფერმერებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარებისა და უკეთესი შედეგების მიღწევისათვის, ამასთან, რათა არ დარჩეს დაუმუშავებელი არც ერთი ჰექტარი მიწის ფართობი.

სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული ფერმერების დაკვალიანების მიზნით ინტერვიუ ვთხოვეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს.

– ბატონო მამუკა, ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის და ცდილობს მიზნად დასახული პროგრამების მეშვეობით დაეხმაროს ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აწარმოონ მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

რა მიმართულების პროგრამებში ჩაერთვნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერები, როგორი შედეგია მიღებული და ახალი წლიდან თუ იქნება კიდევ ხელმისაწვდომი?

– უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობამ და აგრო სექტორში მიმდინარე რეფორმებმა მკვეთრად გააუმჯობესა ფერმერთა ეკონომიური მდგომარეობა, რამაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის შემოსავლიანი დარგების განვითარებას. საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ამუშავებს მრავალ საინტერესო პროგრამებსა და პროექტებს რეგიონისთვის პრიორიტეტული

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

ეს ჩვენი ერის დიდებული ისტორიაა, დავით გარეჯი არამც თუ არის... ყოველთვის იქნება საქართველო

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ჩვენ, ვარ თუ არა მე მამა შენი“. ჩვილმა დედის მუცლიდან ყველას გასაგონად უპასუხა და ნამდვილი მამის სახელიც დაასახელა, ვიღაც მჭედლისა. განრისხებულმა ხალხმა დედაკაცი ქვებით ჩაქოლა. შეძრწუნებულმა დავითმა, რომელმაც გამძვინვარებული ბრბო ვერ შეაჩერა, მდინარე მტკვარზე გაფინა მოსასხამი, თავის მოწაფესთან, წმინდა ლუკიანესთან ერთად ზედ შედგა და, მიუხედავად თბილისელების მხურვალე ვედრებისა, ქალაქი დატოვა.

მამა დავითი და ლუკიანე გარეჯის უდაბნოში წავიდნენ და ერთ პატარა გამოქვაბულში დაეყუდნენ. იქ ბევრი გაჭირვება გამოცადეს მამებმა, ცალკე სიცხე, უწყლობა და უსაზრდოობა აწუხებდათ, ცალკე კი საშინელი ქვემძრომნი.

მალე მოსაგრეებს უფალმა სასწაულებრივი საზრდელი გაუჩინა. მათთან ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, ირმები მოდიოდნენ, ლუკიანე წველიდა, მამა დავითი რძეს ჯვარს გადასახავდა და იგი ყველად იქცეოდა. გარეჯელ მამათა სასწაულები მთელმა ქვეყანამ გაიგო და მალე აქ „დაემკვიდრნენ სიმრავლენი მამაკაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემატკბობელნი“.

ნინოწმინდიდან ღირს დავითთან მოვიდა სათნოებით შემკული ბერი დოდო, რომელმაც მოძღვრის ბრძანებით, კლდის რქაზე აღაშენა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი.

იმ გამოქვაბულის მახლობლად, სადაც მამა დავითი ცხოვრობდა, იყო ნაპრალი და მასში ქვაბი, სადაც რაღაც ვეშაპის მსგავსი ცხოველი მკვიდრობდა. ერთ საღამოს ირმები შეშინებულნი მოიჭრნენ, მათ ერთი ნუკრი აკლდათ. ეს ამბავი ლუკიანემ მამა დავითს აცნობა, ნუკრი თურმე იმ მხეცს მოეტაცა. მამა დავითი შეევედრა უფალს და ჯერ ლოცვა არ დაემთავრებინა, რომ საშინლად დაიქუხა, გავარდა მეხი და ერთიანად დაიწვა ის უცნაური მხეცი.

ერთხელ მამა დავითი ჩვეულებრივ დაჩოქილი ლოცულობდა. ამ დროს მოულოდნელად მოფრინდა შეშინებული კაკაბი და მის წინ ჩამოჯდა. ქორიც მახლობლად შეჯდა ხეზე, ცოტა ხნის შემდეგ მოიჭრა ცხენოსანი მონადირე, რომელიც ფიქრობდა, ქორს დაჭერილ კაკაბს გამოაცლიდა კლანჭებიდან, მაგრამ როცა დაინახა კაკაბი მლოცველის წინ, ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა მამა დავითს: „ვინ ხარ შენ?“ – მამა დავითმა წყნარად მიუგო:“მე ვარ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მონა და ვევედრები მოწყალებათა მისთა“. შემდეგ ურჩია მას, დაენებებინა თავი კაკბისათვის.

მონადირე იყო ვინმე უსჯულო ბუბაქარი. მან გაჯავრებულმა იშიშვლა მახვილი და უნდოდა მოეკვეთა თავი წმინდა მამისათვის, მაგრამ მარჯვენა მყისვე გაუშეშდა. შეკრთა, ჩამოხტა ცხენიდან, დაიჩოქა მის წინაშე და ცრემლით ევედრებოდა მიტევებასა და განკურნებას. მამა დავითს შეებრალა, აღაპყრო ხელები, შეევედრა უფალს და განკურნა იგი. მხედარს გაუხარდა, გაკვირდა და ევედრებოდა: „მამაო, მე კუტი ძე მყავს, მრავალი ვუექიმე, მაგრამ არაფერი ეშველა; გევედრები, ისიც განკურნო, გნებავს, აქ მოგგვრი. თუ მომირჩენ, მე და ჩემი ცოლ-შვილი ვიწამებთ შენს ღმერთს“.

მონადირე გახარებული წავიდა შინ და მისი ძე ხტომით მოეგება წინ.

აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ დროს მორჩენილიყო, როცა მამა დავითი მხედარს ელაპაარაკებოდა. ბუბაქარმა ყოველივე უამბო თავის სახლობას და მეზობლებს. მეორე დილით მან სახედრებს ყოველგვარი სანოვაგე აჰკიდა, წაიყვანა შვილები და გასწია მამა დავითთან, თაყვანი სცა მას და მადლობა მოახსენა. შემდეგ წარუდგინა მას შვილები და სთხოვა მათი კურთხევა. მამა დავითმა ყოველივე სანოვაგე ბერებს გადასცა. ბუბაქარმა აღასრულა თავის აღთქმა და მთელი სახლობით მოინათლა.

რამოდენიმე ხნის მერე ილუმენი დავითი იერუსალიმის მოსალოცად წავიდა. ბერმა, თავისი უღირსების გამო, წმ. ქალაქში შესვლა არ ინება, კარიბჭესთან დიდხანს და მხურვალედ ილოცა. შემდეგ იმ ადგილიდან აიღო სამი ქვა და სიწმინდეებად წამოიღო საქართველოში. იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს – ელიას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ საქართველოდან მოსულ მამა დავითს, თავისი სარწმუნოებით, იერუსალიმის მთელი მადლი მიჰქონდა. პატრიარქის გაგზავნილმა კაცებმა ორი ქვა გამოართვეს მამა დავითს, მესამე კი – წმინდა ბერმა საქართველოში ჩამოიტანა. ამიტომაც ეძახიან გარეჯას მეორე იერუსალიმს.

დროთა განმავლობაში გარეჯის უდაბნოში ძლიერ იმატა ძმათა რიცხვმა. ზოგი მათგანი განდეგილად ცხოვრობდა, ზოგიც – მონასტერში. წმინდა დავითი ყველას წინამძღვარი და დამრიგებელი იყო. მას ძლიერ უხაროდა, რომ ასე გამრავლდნენ მის უდაბნოში ღმრთის მადიდებელნი.

მამა დავითს, ხანგრძლივი ღვთისათნო ცხოვრების შემდეგ, წინასწარ ეუწყა თავისი გარდაცვალების დროც. სიკვდილის წინ მან შეკრიბა თავისი მოწაფეები, დაარიგა, გაამხნევა და აკურთხა ისინი, წინამძღვრად თავისი მოწაფე ლუკიანე დაუდგინა. შემდეგ მიიღო წმინდა საიდუმლო და ისე აღესრულა. მოწაფეებმა იგლოვეს თავიანთი საყვარელი მოძღვარი და დიდი მწუხარებით დაკრძალეს მისი წმინდა გვამი იქვე, გარეჯის სავანეში. ეს მოხდა 582 წელს.

– როგორი იყო დავით გარეჯის სამონასტრო ცხოვრება?

– დავით გარეჯის სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი ჩაუყარა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა – წმინდა დავით გარეჯელმა VI საუკუნეში. ამავე საუკუნეში მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა დააარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდოს რქა, ხოლო ლუკიანემ – ნათლისმცემელი. დავით გარეჯის მონასტრების შემდგომი აყვავება-განვითარება IX საუკუნის წმინდა მამის – ილარიონ ქართველის სახელთანაა დაკავშირებული. მან გააფართოვა და გადააკეთა წმინდა დავითის მიერ გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო შემდგომ კი წმინდა მეფის – დავით აღმაშენებლის ძემ – დემეტრემ (ავტორი საგალობელისა „შენ ხარ ვენახი“). XI საუკუნეში გარეჯის მონასტერს სელჯუკები შემოესივნენ, რის გამოც შეფერხდა მისი განვითარება, თუმცა ცხოვრება აქ არ შენელებულა.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსმა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XI–XIII საუკუნეებში. დაარსდა ახალი მონასტრები – უდაბნო ბერთუბანი და ჩიჩხიტური, გაფართოვდა და კეთილმოეწყო დავითის ლავრა, რომელიც პატარა ხეობის ორივე კალთაზეა გაშენებული. მონასტერში, სადაც თავდაპირველად ბინა დაიდო წმინდა დავითმა, მოეწყო ტერასიანი ეზო, აშენდა ახალი სენაკები, სატრაპეზო და ეკლესია. კლდეში გაიჭრა წყალშემყვანი არხები და რეზერვუარები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კედლის მხატვრობაც ეკლესიებისა და სატრაპეზოში. უდაბნოს მონასტერში საფუძველი ჩაეყარა გარეჯის სამხატვრო სკოლას, რომელმაც თავისი შემოქმედების მწვერვალს ბერთუბნის მოხატულობაში მიაღწია. გარეჯის ფრესკების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მან შემოგვინახა ბევრი ისტორიული პირის პორტრეტი – წმინდა დავით აღმაშენებლისა – ნათლისმცემლის უდაბნოში, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის – ბერთუბანში, დიმიტრი თავდადებულისა და სხვა ქტიტორებისა – უდაბნოში. .

XIII საუკუნეში მონღოლებმა გაძარცვეს და გაანადგურეს მონასტრები, ცეცხლს მისცეს ხელნაწერები და სინმინდეები. შეწყდა ცხოვრება ბერთუბანში, აოხრდა ლავრის, დოდოს რქის და ნათლისმცემლის მონასტრები.

XIV და XV საუკუნეთა მიჯნაზე თემურ ლენგმა ცეცხლითა და მახვილით დაარბია საქართველო. ქვეყნის დაცემა, ბუნებრივია, დავით გარეჯის მონასტერსაც შეეხო. როგორც ჩანს, ამ დროს შეწყდა მონასტრის სამხატვრო სკოლის არსებობაც.

1615 წელს შაჰ-აბასის ურდოებმა აღდგომა ღამეს 6000 ბერი ამოწყვიტეს და მონასტერი გაძარცვეს.

XVII საუკუნის ბოლოს მეფე თეიმურაზი და შემდეგ არჩილ მეფე ცდილობდნენ სამონასტრო ცხოვრების აღდგენას დავით გარეჯში. ეს მხოლოდ 1690 წელს მოხერხდა, როცა მონასტრის წინამძღვრად ღირსი ონოფრე გარეჯელი (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე) დაინიშნა. მისი ორმოცი წლის მოღვაწეობის შედეგად გარეჯის მონასტერს დაუბრუნდა დაკარგული მიწები, აიგო გალავნები, კარიბჭე და სატრაპეზოები.

XVIII საუკუნის ხშირი თავდასხმების შედეგად, გარეჯის მონასტრის განვითარება თანდათან შესუსტდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი გაუუაცრიელდა, მხოლოდ ნათისმცემლის მონასტერში შემორჩა რამდენიმე ბერი.

დღეს აქ ცხრა ბერი მოღვაწეობს, ცხრა სასულიერო პირი, ცხრა მეციხოვნე, ცხრა ადამიანი, რომელთაც გადაარჩინეს გარეჯი. მათი წინამძღვარი მამა ილარიონი გახლავთ. დღეს აქ საქართველოს დარაჯობს ცხრა ბერი – მეციხოვნე და სვანები, უდაბნოში ჩამოსახლებულნი გასული საუკუნის 90-იან წლებში.

– რას გვეტყვით დავით გარეჯის ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე, რომელიც დღეს არსებობს, რატომ უნდა იყოს სადავო ეს ტერიტორია?

– საბჭოთა კავშირის დროს სამონასტრო კომპლექსზე ადმინისტრაციული საზღვარი გადიოდა, ძირითადი ნაწილი საქართველოს, მეორე ნაწილი კი აზერბაიჯანის მხარეს იყო მოქცეული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, საზღვრის ოფიციალურ დემარკაციაზე ეს ორი მხარე დღემდე ვერ თანხმდება.

დავით გარეჯთან მიმართებაში გამწვავებული ურთიერთობის გამო, პატრიარქმა არაერთი განცხადება გააკეთა და წერილობითაც მიმართა აზერბაიჯანის სულიერ ლიდერს, ასევე სთხოვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საქართველოს ხელისუფლებას, რათა ჩვენი უმნიშვნელოვანესი სულიერი კულტურული ცენტრი და დიდი სიწმინდე საქართველოსი, „მეორე იერუსალიმი“ ვინმესთვის კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარიყო.

„დავით გარეჯი არის ქართული მიწა და, თუ ადგილი ჰქონდა ტერიტორიების უკანონო გასხვისებას, ეს არის დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

მე პირადად იმედი მაქვს, რომ ისტორიული სამართლიანობა, ღვთის შეწევნით, ისევ აღსდგება და ის სადავო უბნები – უდაბნო, ბერთუბანი და ჩიჩხიტური, ისევ თავის ძირძველ, ჭეშმარიტ პატრონს – დავითის ლავრას დაუბრუნდება.

ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ „რომელ ერსაც არა აქვს ისტორია, მიეცით გარეჯი და არა თუ ისტორია ექნებათ, არამედ დიდებული ისტორიაო“, და ეს ასეც არის. დავით გარეჯი – ეს ჩვენი ერის დიდებული ისტორიაა, დავით გარეჯი არამც თუ არის... ყოველთვის იქნება საქართველო.

და ბოლოს, მე მინდა, რომ ჩემი საუბარი დავით გარეჯზე, მისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით დავამთავრო:

გარეჯა

როგორ მენატრებით
გარეჯის ქვაბულებო,
რამდენჯერ შენს კედლებში
რწმენით მილოცია...
წმინდანო მამანო და ღვაწლით
ქებულებო,
მე თქვენ ნატერფლებზე
კრძალვით მიკოცნია.

ჩემო მრავალმთებო,
ფერთან შერთულებო,
თავზე გადმოგყურებთ
კოშკი ჩიჩხიტურის.
უცხო მწვერვალებო,
ზეცას შემყურებო,
წმინდა დოდოს რქაა
თქვენთან ჩახუტული.

ჩემო ბერთუბანო,
ფრესკით შემკულებო,
დრო და ჟამისაგან ჭკნობა
შეგპარვია...
აღდგომის ტაძარო და
რწმენავ ულევო,
შენს მიწას წინაპართ
ძვლები შეჰფარვია.

რამდენს გაუძელით მტერთან
შებმულებო,
და დღესაც მადლის ქვა
იცავს ამ ადგილს.
გარეჯელ მამათა ნათელო სულებო,
გვფარავდეს მუდამ თქვენი
ლოცვების მადლი.

წმინდა გარეჯელ მამათა ლოცვები შეეწიოს ჩვენს ყვარელს და სრულიად საქართველოს. ამინ!

ესაუბრა **ია გიგიაშვილი**

... ინფექციისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა: პირბადე, ხელების ხშირი დაბანვა-დეზინფექცია და დისტანცია...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

შემდეგ უკვე სექტემბრის ბოლოსათვის გვქონდა 7 დადასტურებული შემთხვევა. ოქტომბერში შემთხვევათა რაოდენობა გაიზარდა 74-მდე, ხოლო წლის ბოლოსთვის დაფიქსირებული იყო ავადობის 760 შემთხვევა. 2021 წლის იანვარში იყო 148, ხოლო 6 თებერვლის მონაცემებით ყვარლის მუნიციპალიტეტში სულ გვაქვს 945 დადასტურებული შემთხვევა. აქედან გამოჯანმრთელდა 920, სამწუხაროდ გარდაიცვალა – 9 ადამიანი.

– ვაქცინაციის გეგმა თუ გაქვთ შემუშავებული და პირველ რიგში ვინ აიცრებიან?

– როგორც ცნობილია, გასული წლის ბოლოდან მთელმა რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს კოვიდ ვირუსის სანინააღმდეგო ვაქცინის გამოყენება. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის №67 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოში COVID – 19-ის დანერგვის ეროვნული გეგმა, რომლის შესაბამისად პრიორიტეტულ ჯგუფს წარმოადგენს ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ყველა პირი, მათ შორის პირველ ეტაპზე აიცრებიან ის პირები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ინფიცირების განსაკუთრებით მომეტებულ რისკთან. ვაქცინის საკმარისი რაოდენობის შემთხვევაში ასაცრელი კონტიგენტი გაფართოვდება და მოიცავს ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების (მოხუცებულთა სახლების) ბენეფიციარებს და პერსონალს, შემდეგ 75 წლის და ზევით მოსახლეობას, შემდეგ 65 წლის ზევით და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს.

პირველი ეტაპისთვის საქართველოში დაგეგმილია ორი სახის ვაქცინის შემოტანა:

1. გერმანული „ფაიზერი“, რომელიც ინახება 80 გრადუსზე;

2. ამერიკული „მოდერნა“, რომლის დასაწყობებაც ხდება – 20 გრადუსზე. ყვარლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში გვაქვს – 20 გრადუსიანი მაცივარი და აქედან გამომდინარე ვაქცინაცია მოხდება ამ ვაქცინით ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში.

მუნიციპალიტეტის დონეზე კოვიდ-19-ის აცრებზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით და დახმარებით.

– როგორია თქვენი პროგნოზი, მესამე ტალღა თუ მოაღწევს ყვარლის მუნიციპალიტეტამდე?

– რაც შეეხება ინფექციის გავრცელების მესამე ტალღას, ეს დამოკიდებულია პირველ რიგში თვით მოსახლეობაზე და შემდეგ ვაქცინაციის დროულობაში.

ხშირად შეხვდებით ყვარლის ქუჩებში მოძრავ ადამიანებს, რომელბსაც პირბადე არ უკეთიათ, ან უკეთიათ ისე, რომ ცხვირ-პირი დაფარული არ აქვთ. სანამ ჩვენ თვითონ არ გავითვალისწინებთ, რომ არის რეალური საფრთხე ჩვენი ან ჩვენგან დასნებოვნების, სანამ სამ მარტივ წესს არ შევასრულებთ, მანამ სულ იქნება საფრთხე მესამე ტალღის ყვარელში შემოღწევის.

– რას გვირჩევთ როგორ დავიცვათ თავი ინფექციისგან?

– ჩვენ წინა წერილში გაგაცანით და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ინფექციისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა: პირბადე, ხელების ხშირი დაბანა, დეზინფექცია და ამასთანავე უნდა დავიცვათ დისტანცია გარშემომყოფებთან 1, 5-2 მეტრით, აგრეთვე საჭიროა მოვერიდოთ ხალხმრავალ შეკრებებს, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიდეთ ბინიდან.

– ტესტირების მსურველებს რას ურჩევდით?

– ტესტირებასთან დაკავშირებით: ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდ ტესტებს ატარებს ორი სამედიცინო დაწესებულება: ჩვენი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და ევექისი კლინიკა. ტესტირება დავიწყეთ 2020 წლის აპრილიდან. დღემდე სულ ჩატარებულია 5367 ტესტი, აქედან 2277 პჯრ ტესტი და 3090 ანტიგენ ტესტი (სწრაფი ტესტი), აქვე განვმარტავ, რომ დადებითი ანტიგენ ტესტის შემთხვევაში პასუხი გადამოწმებას არ ექვემდებარება, ხოლო უარყოფითის შემთხვევაში შესაბამისი სიმპტომების არსებობას მკურნალი ექიმის გადაწყვეტილებით შესაძლებელია პჯრ ტესტის ჩატარება.

არის კონტიგენტი, რომელიც ყოველგვარი სიმპტომების გარეშე თხოულობს ტესტირების ჩატარებას, იმიტომ, რომ კორონით დაავადებულთან ჰქონდა რაიმე სახის კონტაქტი. ეს არასწორი ქმედებაა. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის ერთ ან რამდენიმე წევრს აქვს კორონა, დანარჩენს კი არა. ამიტომაც თუ არ ხართ რისკ ჯგუფში, არ გაქვთ კოვიდის სიმპტომები, აუცილებელი არ არის ტესტის ჩატარება.

– უკანასკნელ პერიოდში ჭირის გავრცელების შემთხვევებმა იმატა მაწანწალა ძაღლებში, ჩვენთან როგორი სიტუაციაა, ხომ არ არის ჭირის ფაქტები?

– რაც შეეხება ძაღლების ჭირის გავრცელებას, იგი აცრას არ ექვემდებრება, და როგორც ზურაბ ზურიაშვილმა განმარტა, აღრიცხვიანობა არ ხდება.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

„ვითმენდი, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო!“ – რას ჰყვება კარტოგრაფი, რომელიც სკანდალური რუკის ექსპერტიზაში მონაწილეობდა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

პროექციას ერთი და იგივე საკოორდინატო ბადე აქვს. საერთოდ, მათემატიკურ კარტოგრაფიაში ცნობილია, რომ თუ ორ პროექციას ერთი და იგივე კარტოგრაფიული ბადე აქვს, ე. ი. საკოორდინატო ბადე ერთი და იგივეა და ასეთ შემთხვევაში რამის დამახინჯება გამორიცხულია, ანუ რუკები იდენტურია, მხოლოდ პროექცია შეიცვალა. ამ პროექციებს თავისი ავტორები ჰყავს. მიუფლინგი პრუსიელი ფელდმარშალი, სამხედრო ტოპოგრაფი იყო. მეორე პროექციას ორი ავტორი ჰყავს – გაუსი და კრიუნგერი, გერმანელი მათემატიკოსი და გეოდეზისტი... მთავარი ის არის, რომ განსხვავება საკოორდინატო ბადესა და სისტემაში არ არის. 1937 წლით არის დათარიღებული 200 000-იანი რუკა, რომელიც შედგენილია ენ-კა-ვე-დეს, ანუ შინსახკომის დაკვეთით. ტოპოგრაფიულ რუკას პასუხისმგებელი რედაქტორი ჰყავდა და მას ხელს აწერს სერგი ცხაკაია.

იგი ქართული კარტოგრაფიული და ტოპოგრაფიული სკოლების ფუძემდებელი გახლდათ. სწორედ სერგი ცხაკაიამ შექმნა გასული საუკუნის 30-იან წლებში კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი – საქართველოში სამხრეთის საზღვრების მსხვილმასშტაბიან ტოპოგეოდეზიურ აგეგმვებს და სწორედ ამის საფუძველზე დგებოდა ტოპოგრაფიული რუკები. მან გაზარდა აკადემიკოსი ალექსანდრე ასლანიკაშვილი, რომელმაც ფურორი მოახდინა კარტოგრაფიაში და მთელი მსოფლიო აალაპარაკა. თავის მხრივ, ასლანიკაშვილმა კარტოგრაფების მთელი პლეადა აღზარდა, მათ შორის – მეც. ვსვამ კითხვას: ისეთი პიროვნების, როგორიც იყო სერგი ცხაკაია, პასუხისმგებელი რედაქტორობით გამოცემულ რუკას ივერი მელაშვილი აყენებს ეჭვქვეშ? ტოპოგრაფიული რუკა ნიშნავს სიზუსტეს, მსხვილმასშტაბიანობას, დეტალურმასშტაბიანობას; მასზე ზედმიწევნით არის ასახული ყველაფერი – საზღვარიც, წერტილიც, სტრატეგიული სიმაღლეც და ა. შ., ანუ ის, რასაც ჩვენ თვალით ვხედავთ. სერგი ცხაკაიას ხელმოწერით დაიბეჭდა 1937 წელს ეს რუკა, რომელიც 1932-33 წლების ტოპოგეოდეზიური აგეგმვების საფუძველზეა შედგენილი. თვითონ ცხაკაია ხელმძღვანელობდა ამ აგეგმვებს. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა პროფესიით კარტოგრაფები არ არიან და ასეთი ხალხი აყენებს ამ რუკას ეჭვქვეშ?

ამ რუკის შედგენის დროს გამოყენებულია შემდეგი კარტოგრაფიული მასალები: 1) 1880-1900 წლების ინსტრუმენტალური ტოპოგეოდეზიური აგეგმვის მასალები მასშტაბით 1:42 000 (ე. ი. 1 სმ-ს შეესაბამება 420 მ); 2) საქნავთის 1930-1933 წლების აგეგმვის მასალები მასშტაბით 1:50 000 (1 სმ-ს შეესაბამება 500 მ); 3) ხუთვერსტიანი რუკები მასშტაბით 1:210 000 (1 სმ-ს შეესაბამება 2, 1 კმ).

თურმე სერგი ცხაკაიას არ სცოდნია ტოპოგრაფია და სცოდნია მელაშვილს! ამდენი ხანია ვითმენ ამ უაზრო და შეურაცხმყოფელ განცხადებებს ქართული კარტოგრაფიული სკოლის მიმართ, რომლის წევრი მეც გახლავართ, მაგრამ როდესაც მტკივნეულზე განსაკუთრებულად დაგადგამენ ფეხს, სიმართლე უნდა თქვა. ისიც ვერ გავიგე, რატომ უნოდებენ ამ საქმეს კარტოგრაფთა საქმეს, როცა არც ერთი მათგანი კარტოგრაფი არ არის! ამჟამად საქართველოში მხოლოდ 3-4 მეცნიერ-კარტოგრაფია. იმისთვის, რომ იყო მეცნიერ-კარტოგრაფი, უნდა გქონდეს გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო სტატია (მათ შორის უცხოეთშიც), მონოგრაფია, სახელმძღვანელო. რუკის ადეკვატურად წაკითხვა არ შეუძლიათ და ნუ იღებენ საკუთარ თავზე ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს! მიწათმოწყობა სულ სხვა სფეროა, უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან მიწათმოწყობა – ერთი მხრივ და კარტოგრაფია (რომელიც უზარმაზარი სისტემაა) – მეორე მხრივ. გასაგებია, რომ მიწათმოწყობაც რუკასთან მიდის, მაგრამ ეს არ არის კარტოგრაფია.

ამდენ ხანს ვითმენდი, მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო! ივერი მელაშვილმა თავისი განცხადებებით საკუთარ დანაშაულს კიდევ ერთი დაუმატა და მიცვალებულს, სერგი ცხაკაიას მიაყენა შეურაცხყოფა. მას რომ ვუჩივლო ცილისწამებისა და მიცვალებულის შეურაცხყოფისთვის, პასუხისგება მოუწევს. კარტოგრაფი ჯანსუღ კეკელია ეომებოდა ამ კომისიას და ბოლოს გამოიქცა იქიდან. ეს ჯანმრთელი კაცი ამ საკითხზე ნერვიულობით დაავადეს და დღეს მელაშვილი ამ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკას

ყალბ ასლარიანს ადარებს! როგორ შეიძლება ეს თქვა რუკაზე, რომელსაც პასუხისმგებელი რედაქტორის რანგში აწერია სერგი ცხაკაიას გვარი.

– როცა ვკითხე მელაშვილს, რით ასაბუთებთ რუკის სიყალბეს-მეთქი, მიპასუხა, ამ რუკაზე დატანილ ელემენტებში 400-500-მეტრიანი ცდომილებებიაო...

– ამ რუკის მასშტაბის ზღვრული სიზუსტე 2 მეტრს შეადგენს და თუ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკას 400-500-მეტრიანი ცდომილება აქვს, მაშინ მას კარტომეტრიაში ახალი აღმოჩენა გაუკეთებია. ეს ხომ სასაცილოა!

მელაშვილისგან არავინ არაფერს ითხოვს, საერთოდ შეეშვას ამ საქმეს. მე რაში მაინტერესებს მისი დაპატიმრება, მეცნიერი-კარტოგრაფი ვარ, პედაგოგი, პროფესორი, მაგრამ არ არის ლამაზი, როცა სახალხოდ გაიძახის: „დავითგარეჯის ის ნაწილი საქართველოსი არასოდეს ყოფილა და რატომ ვითხოვთ იმას, რაც ჩვენ არ გვეკუთვნისო“. წარმოიდგინეთ, ამას ამბობს, როცა რუკებზე ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ არის ასახული! სტუდენტების მთელი არმია მყავს, პატრიოტი ახალგაზრდები. ეს თაობა ძალიან მგრძნობიარეა ასეთი ეროვნული საკითხებისადმი და ისინი აღშფოთებული არიან მისი განცხადებებით.

– ჯანსუღ კეკელია თავის პოზიციას მაშინაც საჯაროდაც გამოხატავდა. წლების წინ „კვირის პალიტრაშიც“ დაიბეჭდა ჯანსუღ კეკელიას ინტერვიუ. თქვენთან პირად საუბრებში ხომ არ უთქვამს, კომისიაში ვინ ეწინააღმდეგებოდა მის პოზიციას?

– ტყუილს ვერ ვიტყვი, კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია. ბატონი ჯანო ამბობდა, რომ ვეუბნები, თხემზე არ შეიძლება საზღვრის გატარება და რუკების მიხედვით ასე არ არის, არ ესმითო. ამბობდა, ვეუბნები, რომ ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის 1996 წლის შეთანხმების პროტოკოლში შავით თეთრზე წერია, რომ საზღვარი 1938 წლის მდგომარეობით უნდა განისაზღვროს, ამ რუკაზე კი ყველაფერი ასახულია, მაგრამ არ ესმითო.

1938 წელს გამოცემულია ორი რუკა. ერთ-ერთი სწორედ ის, რომელსაც მელაშვილი ყალბ ასლარიანს ადარებს, არადა ეს არის ფასდაუდებელი რუკა. ქრონოლოგიურად, ამ რუკის შემდეგ და მისივე საფუძველზე (ეს პროცესი კარტოგრაფიაში კარტოგრაფიულ გენერალიზაციად იწოდება) 1938 წელს დაიბეჭდა 1:500 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის პლანშეტები. თუ მაინცდამაინც 1:500 000 მასშტაბის რუკის გამოყენება უნდოდათ, გამოეყენებინათ ეს რუკა, რომელზეც ქართველთათვის ეს საკრალური ისტორიული საკულტო ძეგლი მთლიანად საქართველოს საზღვრებშია (ბერთუბნის მონასტრის გამოკლებით). აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ 1:500 000 მასშტაბის (კედლის) რუკას (თუნდაც პლანშეტებით) არავინ იყენებს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში. არ მესმის, როგორ უნდა მონიშნო საზღვარი, როცა 1 სანტიმეტრში 5 კილომეტრია? როცა სასაზღვრო ზოლის სიგანე 20+20 მეტრია, როგორ უნდა მოზომო? გარდა ამისა, 1:500 000 მასშტაბის რუკაზე არ არის აღნიშნული ყველა სიმაღლე, 1:200 000 მასშტაბის რუკაზე კი ყველა მნიშვნელოვანი სიმაღლეა დატანილი.

მოკლედ, აღშფოთებული ვარ ამ ყველაფრით! ჩემი საქმის ფანატიკოსი ვარ, ის კი ჩემს დარგს შეეხო და ამბობს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, თანაც ამით გამოჩენილ ქართველ კარტოგრაფებს ადგებათ ჩრდილი.

– მელაშვილი ამბობს, რომ პროკურატურამ ვირეშმაკული დავალება მისცა ექსპერტებს, ანუ მათ მთლიანი რუკის გაანალიზება კი არ დაავალეს, არამედ მოსთხოვეს, აეღოთ ამ რუკიდან საზღვრის ხაზი, შეედარებინათ ის სხვა რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზისთვის და განსხვავება დაედგინათ. იმასაც ამტკიცებს, არც ერთი მტკაველი არ დაგვითმიაო...

– ვმონაწილეობდი ყველა ექსპერტიზაში, რაც პროკურატურამ ჩაატარა და დასკვნა ჩვენ დავდეთ. ამ მასალაში არის წარმოდგენილი ის, რაც მან სახელმძღვანელოდ გამოიყენა. მელაშვილმა გააკეთა „ვიკაპიროვკა“, ანუ ამონახაზი კალკაზე. ჩვენ უნდა დაგვედგინა, საიდან იყო გაკეთებული ეს ამონახაზი და დავადგინეთ, რომ გაკეთებული იყო 500 000-იანი მასშტაბის რუკიდან! კარგი, 200 000-იანის ნაცვლად აქედან ამოხაზე, მაგრამ მითხარი, საზღვარი რატომ შეცვალე? რატომ გადაანაცვლე? იმ 1:500 000 მასშტაბის რუკაზეც ხომ დავითგარეჯის კომპლექსი მთლიანად ჩვენს საზღვრებშია?! ეს რუკები არსებობს და ამის დანახვა ყველას შეუძლია! სასაცილოა ამ კაცის საქციელი – ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი... როგორც გადმოცემით ვიცი, ეს ტოპოგრაფიული რუკა სექტემბრის ბოლოს აზერბაიჯანის მხარეს გადასცეს. მათ თქვეს, ჩვენ განვიხილავთ ამ რუკას და უახლოეს თვეებში გავმართოთ შეხვედრაო. დარწმუნებული ვარ, ისინი დაამუშავებენ ამ მასალებს. მათ კომისიის ხელმძღვანელად ჰყავთ ასაკოვანი გეოდეზისტი. განიხილავენ ყველაფერს და შედგება შეხვედრაც. ვფიქრობ, აზერბაიჯანული მხარე ამ მოლაპარაკებაზე უნდა წამოვიდეს.

1938 წელს ასევე გამოცემულია კედლის რუკაც და იქაც დავითგარეჯის მთელი კომპლექსი საქართველოს შემადგენლობაშია. არის ასევე ადმინისტრაციული დაყოფის ტოპოგრაფიული პლანშეტები და იქაც ისეა. ეს 1:200 000 მასშტაბის რუკა (დედანი) არის ფასდაუდებელი ისტორიულ-კარტოგრაფიული წყარო, რომელიც ჩამოიტანა ბატონმა დავით ხიდაშელმა. იგი ღირსეული მამულიშვილია და მეამაყება, რომ ვიცნობ მას.

თქვენთან საუბარს დავასრულებ ქართული კარტოგრაფიის პატრიარქის, ალექსანდრე ასლანიკაშვილის ერთგვარი შეგონებით: „კარტოგრაფია ისეთ კეთილ მხცოვან ადამიანს მოგვაგონებს, რომელიც სულ სხვებს ეხმარება, სხვისი კეთილდღეობისათვის ზრუნავს და თავისი ვინაობის გარკვევისთვის არ იღვწის“, ანუ კარტოგრაფია ყოფილა ძალიან თავმდაბალი ადამიანი. ამიტომ გახდა ეს მეცნიერება თავშესაფარი ბევრი არასპეციალისტისთვის და მათ შორის – ივერი მელაშვილისთვის, რომელიც პროფესიით კარტოგრაფი არ არის.

მინდა ჩვენი ინტერვიუ მაინც მშვიდობიან კილოზე დავასრულო და მოვუწოდო ერსაც და ბერსაც: ძვირფასებო, ყველამ ვაკეთოთ ჩვენი პროფესიული საქმე და ერთად დავდგეთ სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე. კარტოგრაფია კი სწორედ ის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული დარგია, რომელიც ყოველთვის თავის სიტყვას იტყვის ყველა მამულიშვილურ გამოწვევაში.

თეა ხურცილავა

kvirispalitra.ge

სიმპტომები, როგორ უნდა გაარჩიოთ ახალი სინდრომი ჩვეულებრივი ინფექციისგან

რამდენიმე დღეა მედიაში აქტიურად განიხილება სინდრომი, რომელიც ბავშვებში კორონავირუსის გადატანის შემდეგ იჩენს თავს. მას მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ჰქვია და როგორც ექიმები ამბობენ, საკმაოდ ყურადსაღებია. როდის გამოჩნდა საქართველოში, რას გულისხმობს ეს სინდრომი და რამდენად საშიშია ბავშვებისთვის, Mshoblebi.ge-ს ამ თემაზე ივანე ჩხაიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, ესაუბრება:

– მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ბავშვებში (Multisystem Inflammatory Syndrome in Children – MIS-C) იშვიათი სისტემური დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს გახანგრძლივებული ცხელებით და მძიმე ანთებითი პროცესით, რაც მოჰყვება ახალი კორონავირუსით, SARS-CoV-2-ით, ინფიცირებას.

პირველი პუბლიკაცია ამ სინდრომის შესახებ 2020 წლის მაისის დასაწყისში, დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა, რომელშიც აღწერილი იყო რვა მძიმედ დაავადებული პედიატრიული პაციენტი, რომლებსაც აღენიშნებოდათ შოკი მულტიორგანული მონანილეობით. დიდი ბრიტანეთის პედიატრიისა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამეფო კოლეჯის მიერ ეს მდგომარეობა განმარტებული იქნა, როგორც ბავშვთა მულტისისტემური ანთებითი სინდრომი დროებით ასოცირებული COVID-19-თან. მსოფლიოში უფრო მეტი შემთხვევის გამოჩენის კვალდაკვალ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ დაავადებას ეწოდა მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ბავშვებში (MIS-C).

MIS-C-ის განვითარების მექანიზმი ბოლომდე გარკვეული არ არის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სინდრომი წარმოიქმნება ვირუსზე ორგანიზმის პასუხად განვითარებული პათოლოგიური იმუნური რეაქციით, გარკვეული მსგავსებით კავასაკის დაავადებასთან.

სავარაუდოა პოსტ-ინფექციური პროცესის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ამ შემთხვევების რაოდენობის ზრდის თანხვედრაზე COVID-19-ის შემთხვევების პიკთან. მაგალითად, ლონდონში, COVID-19-ის შემთხვევების პიკი 2020 წლის აპრილის პირველ-მეორე კვირას აღინიშნა, ხოლო MIS-C შემთხვევათა მატება მოხდა მაისის პირველ-მეორე კვირა. ეს სამი-ოთხი კვირის ჩამორჩენა მიანიშნებს, რომ შეიძლება წარმოადგენს ვირუსის შემდგომ ინფექციურ გართულებას და არა მწვავე ინფექციას.

საქართველოში ეს დაავადება პირველად 2020 წლის 2 ნოემბერს იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ჰოსპიტალიზებულ ბავშვში დიაგნოსტირდა. საინტერესოა, რომ ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთში, ჩვენთანაც MIS-C შემთხვევების მატება იანვრის პირველი კვირიდან დაიწყო, რაც ემთხვევა საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების მატებას ერთ თვით ადრე, დეკემბრის პირველ ნახევარში.

დაავადების კლინიკური მიმდინარეობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე (მულტისისტემური დაზიანება), მძიმეა და ასეთი ბავშვები საჭიროებენ ჰოსპიტალიზაციას. ასევე აღსანიშნავია, რომ ჰოსპიტალიზაცია სასურველია მოხდეს მულტიპროფილურ პედიატრიულ კლინიკაში, ვინაიდან ასეთი პაციენტები აუცილებლად საჭიროებენ მულტიდისციპლინარულ მართვას: კარდიოლოგი, ინფექციონისტი, რევმატოლოგი, ნეფროლოგი, პულმონოლოგი, ჰემატოლოგი, გასტროენტეროლოგი, დერმატოლოგი, ნევროლოგი, რეანიმატოლოგი.

– როგორ უნდა მიხვდეს მშობელი, რომ შესაძლოა MIS-C სინდრომთან ჰქონდეს საქმე?

– ამ დაავადებისთვის ძირითადად დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა (38 და მეტი, 24 საათზე მეტი დროის განმავლობაში, უხშირესად 3-6 დღე) და რამდენიმე ორგანოს დაზიანების მიმანიშნებელი სიმპტომების არსებობა, მაგალითად ხველა, კანზე გამონაყარი, დიარეა, ხელების და ფეხების შეშუპება და სხვა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

ამ სინდრომს ახასიათებს მუდმივი ცხელება 38, 0 და მეტი (საშუალო ხანგრძლივობა 4-6 დღე); კუჭ-ნაწლავის სიმპტომები (მუცლის ტკივილი, ღებინება, დიარეა; ზოგ ბავშვებში აპენდიციტის კლინიკის მსგავსი); კანზე გამონაყარი; კონიუნქტივიტი; ლორწოვანი გარსის დაზიანება; თავის ტკივილი, ცნობიერების შეცვლა; რესპირაციული სიმპტომები; ხელების/ფეხების შეშუპება და სხვა.

– ძირითადად, რა ასაკში გვხვდება და რამდენად საშიშია? ასევე, თუ არის გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირებული?

– MIS-C შემთხვევათა უმეტესობა დაფიქსირებულია უფროს ბავშვებსა და მოზარდებში (საშუალო ასაკი 8-დან 11 წლამდე), რომლებიც ადრე ჯანმრთელები იყვნენ. მათ ან აქვთ ადრე გადატანილი COVID-19 ან შეიძლება ეს სინდრომი განვითარდეს ბავშვში, რომლებმაც უსიმპტომოდ გადაიტანეს კორონავირუსი. მშობლების არცთუ ისე მცირე ნაწილმა ჩვენგან გაიგო, კორონავირუსის ანტისხეულების განსაზღვრის შემდეგ, რომ მის შვილს COVID-19. გადატანილი ჰქონდა.

– თქვენს კლინიკაში რამდენი ბავშვი მკურნალობს IS-C სინდრომით და როგორია მათი ზოგადი მდგომარეობა?

– 2 ნოემბრიდან დღემდე ჩვენს კლინიკაში 49 ბავშვი იქნა ჰოსპიტალიზებული MIS-C სინდრომით. გარდაცვალების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, დღეისთვის მკურნალობს 12 ბავშვი.

თამარ იაკობაშვილი

ფიფქები

(ჩანახატი)

შემოდგომამ ზღაპრული ხალიჩა დაუგო მომავალ ზამთარს. მას წინ უჩვეულოდ თბილი და მზიანი დღეები უძღოდა წინ, მაგრამ ერთ მშვენიერ, თბილ ღამეს ცა მოქარავნე შავი ღრუბლებით დაიფარა, რომლებიც გულდაწყვეტილი ღრუბლის ცრემლებით ატირდნენ. რამდენიმე დღე იცრემლებოდნენ, სანამ არე-მარეს მკაცრი სიცივე დასუსხავდა.

ღრუბლის ცრემლებს თოვლის ფიფქები მოჰყვა, რომლებიც საოცარი სისწრაფით, ცეკვა-ცეკვით ეშვებოდნენ დედამიწაზე. ირგვლივ ყველაფერი თოვლის თეთრ საბურველში გაეხვია. თეთრად მოხატა სახლის სახურავები. ეს იყო მთელი მიდამოს საყოველთაო ლხენა – ფართოდ გაშლილი, თვალდამატებელი სამყარო.

თოვლის მოსვლით ყველაზე მეტად პატარა გიორგი გამხიარულდა. დიდხანს იგორა თოვლში, შემდეგ ფიფქებს გაეთამაშა. გაშლილი ხელის გულებით ცდილობდა მათ დაჭერას, მაგრამ ამაოდ. ჯიუტი ფიფქები სწრაფად უჩინარდებოდნენ მის თბილსა და პატარა ხელებში. ისე გაერთო ეშმაკუნა ფიფქებთან თამაშით, რომ არ ესმოდა ბებოს ძახილი: ამოდი, გეყოფა, გაცივდებიო.

მზია კუპრაშვილი-ოთიაშვილი

სტიმულირების პროგრამა გრძელდება, ფერმერები იაფი დიზელის საწვავით და დარიცხული აგროქულებით კვლავ ისარგებლებენ

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

და რენტაბელური კულტურების მოსაყვანად, რათა ფერმერმა შეძლოს სოფლის მეურნეობიდან ისეთი დამატებითი შემოსავლების მიღება, რაც მნიშვნელოვნად გააუჯობესებს ფერმერთა ეკონომიურ მდგომარეობას. 2013-2020 წლებში მუნიციპალიტეტში დაიწყო მრავალწლიანი კულტურების, ვენახის, კაკლის, თხილის, ხურმის, კენკროვანი კულტურების ნარგაობების გაშენება და აღდგენა, მესაქონლეობაში გაზრდილია სულადობა, განვითარდა მეფუტკრეობა, გაკეთდა რამდენიმე ახალი საკალმახე და სატბორე მეურნეობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა და აშენდა მრავალი ახალი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო, სამაცივრე, მარცვლეულის შესანახი და ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო. აღნიშნულ დარგებში დასაქმებული ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩევა და აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს, რაც წინაპირობაა ევროპული ბაზრებზე ადგილის დასამკვიდრებლად.

გასულ წლებში მრავალი საინტერესო პროგრამა და პროექტი განახორციელა სოფლის განვითარების სააგენტომ, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა, ეგრეთწოდებული იაფი ფული. პროგრამის ფარგლებში ფერმერებს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე სახელმწიფო უფინანსებს აღებული სესხის გადასახდელი პროცენტის 8-11%-ს, ფერმერს გამოსდის 0 – 4 %-იანი სესხი, რომლის გადახდაც ხდება პროდუქციის მიღების შემდეგ. ბოლო წლებში აშენებული თითქმის ყველა საწარმო და გაშენებული ბაღ-ვენახი თანადაფინანსებულია აღნიშნული პროგრამით.

მივიღეთ მნიშვნელოვანი შედეგი. 2020 სამეურნეო წელი განსაკუთრებულად უხვმოსავლიანი გამოდგა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ფერმერების დაუღალავმა შრომამ და წარმოებაში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვამ წარმატებული შედეგი მოგვცა: მაღალი მოსავალია მიღებული მუნიციპალიტეტისთვის წამყვან სამრეწველო პროდუქტების წარმოებაში, ასევე მაღალია პროდუქციის სარეალიზაციო ფასები, რაც დადებითად აისახება ფერმერთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კონკრეტულად ვენახიდან მიღებულმა შემოსავალმა 90 მილიონ ლარს გადააჭარბა; თხილის მოსავალმა, რომლის ფართობი 2000 ჰექტრამდეა, 3200 ტონას გადააჭარბა. მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სავარაუდოდ 24 მილიონამდე ლარი იქნება. ბაღჩეული კულტურების (საზამთრო, ნესვი) ნათესი შეადგენდა 3200 ჰექტარს, მიღებულმა მოსავალმა 100 ათას ტონას გადააჭარბა, რისი ღირებულებაც 30 მილიონ ლარს აჭარბებს. მიღებულია თაფლის დიდი მოსავალი 400 ტონა 4. 5 მილიონი ლარის ღირებულებით. სხვადასხვა პროდუქციის რეალიზაციიდან (ატამი, ხურმა-კარალიოკი, მარწყვი, კაკალი) მიღებულია 5 მილიონამდე შემოსავალი. ასევე მეცხოველების პროდუქტებიდან (ხორცი, რძე, ყველი, ქათამი) მიღებულია 7 მილიონამდე ლარის შემოსავალი. სულ მთლიანად სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულია 170 მილიონამდე შემოსავალი.

შეღავათიანი კრედიტის და სხვა პროგრამებით ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ მიმდინარე წელსაც.

– ფერმერებისა და მეწარმეებისათვის რა სახის ფინანსური რესურსი იყო ხელმისაწვდომი და რამდენმა ბენეფიციარმა მიიღო დაფინანასება?

– მუნიციპალიტეტის ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსებით ისარგებლა ათასობით ფერმერმა. ასევე სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ფერმერები და მეწარმეები სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებენ. კონკრეტულად:

სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2900-ზე მეტ ფერმერს დაერიცხა აგროქულები. დარიცხული სუბსიდიის ოდენობა 1. 5 მლნ ლარს აჭარბებს, საიდანაც სპეციალიზირებულ სავაჭრო ობიექტებში უკვე განაღდებულია 1, 4 მლნ ლარზე მეტი. შარშანდელი აგროქულების დარიცხვა წელსაც გრძელდება.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამით, 2800 ზე მეტმა ბენეფიციარმა, საშუალოდ 1. 2 ტონამდე მოცულობის აგროდიზელის ფასდაკლების ბარათები მიიღო. იმ ფერმერებმა, რომლებმაც უკვე განაღდეს ფასდაკლების ბარათები ჯამურად ნახევარ მილიონ ლარამდე დაზოგეს.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2020 წლის 30 ოქტომბრის მონაცემებით, გაცემულია 17, 000-ზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 18, 000 ჰექტარზე მიწის ფართობი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31 %-ით მეტია. დაზღვეული მოსავლის ღირებულება 160 მლნ ლარს აღემატება.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო 6 თვის საპროცენტო განაკვეთს სრულად ფარავს. გაცემულია 270 მდ ე აგროსესხი, სესხის თანხა, ჯამურად, 5 მლნ ლარს აჭარბებს, მათ შორის, სააგენტოს მიერ პროცენტის გასაცემი თანადაფინანსება 0, 4 მლნ ლარს აჭარბებს.

– 2018 წელს დაიწყო მექანიზაციის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც აგროკრედიტით და აგროლიზინგით მექანიზაციის დაფინანსებას ითვალისწინებს, რამდენმა ადამიანმა შეიძინა ტექნიკა ჩვენს მუნიციპალიტეტში?

– პროგრამა 2018 წელს დაიწყო. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართულია 32 ბენეფიციარი, მათ შორის სასოფლო-სამეურნე ტექნიკის ღირებულების 40-% დაუფინანსდა 32 ბენეფიციარს, ხოლო სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის და მოდერნიზებისთვის შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენის და მათი სამონტაჟო სამუშაოების, ასევე, ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვასა და მონტაჟისათვისათვის 2 ბენეფიციარის განაცხადი დაკმაყოფილდა. პროგრამით გაშენდა ხეხილის ბაღები და მოეწყო ხილის გადამამუშავებელი საწარმო „ენისელი ბაგრატიონი“. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში 35 ბენეფიციარმა შეისყიდა ტრაქტორი 50 % დაფინანსებით. 2020-ის გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით 36 ფერმერმა შეიძინა ტრაქტორი 50%-იანი თანადაფინასებით. ასევე შეღავათიანი კრედიტით აგროლიზინგით – ფერმერებმა შეიძინეს ასობით ტრაქტორი, მათ შორის კომბაინიც.

– სახელმწიფო პროგრამებში აქტიური ჩართულობის შედეგად ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზარდა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობები, როგორი მდგომარეობაა ჩვენთან?

– არის სხვა მნიშვნელოვანი პროგრამები და პროექტები. პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ განკუთვნილი იყო საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება საქართველოში. პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და განხორციელდა ა (ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (I) დაფინანსებით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის ასაკია 35 წლამდე მამაკაცები და 40 წლამდე ქალები, თანადაფინანსდა პროექტის ღირებულების 40% და პროექტით ინვესტიცია უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10000 ლარს. პროექტით ისარგებლა 90 ახალგაზრდამ და გაშენდა 300-მდე ჰექტარი ვენახი, გაკეთდა სამი მცირე ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო. პროგრამა „დანერგე მომავალი“ მიზნად ისახავს: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის თანადაფინანსება ხდება სარგავი მასალის ღირებულების 70%-ით და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა 50%-ით. ფინანსდება არანაკლებ 0. 5 ჰა ფართობი ერთიან პერიმეტრში. ყვარლის მუნიციპალიტეტში პროგრამით ისარგებლა 80-მდე ბენეფიციარმა და გაშენებულმა ფართობმა შეადგინა 540 ჰექტარი. პროგრამის ფარგლებში ხდება ჭაბურღილების და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის 50%-იანი დაფინანსება.

– აგროდაზღვევით თუ სარგებლობენ ფერმერები?

– აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი. აგროდაზღვევის 2019 წლის პროგრამის ფარგლებში ფერმერებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეზღვით 5 ჰექტრამდე მრავალწლიანი კულტურები და 30 ჰექტარი ფართობი მარცვლეული კულტურების შემთხვევაში (შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის). თითოეული დამზღვევი 70% იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე/ მოსარგებლეზე გადასახდელი პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს). ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად. პროგრამის მიხედვით განსაზღვრული იყო ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი. პროგრამით 2020 წელს ისარგებლა 2200-მა ფერმერმა, დაზღვეულმა ფართობმა შეადგინა 2500 ჰექტარი. „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა კოოპერატივებისთვის ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს შესყიდვის დაფინანსებას 100 ტონა ტევადობით, თუ კოოპერატივი იქნებოდა არანაკლებ ოც წევრიანი და მათ საკუთრებაში იქნებოდა მინიმუმ ოცი ჰექტარი ვენახი. პროგრამით მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და აშენდა 16 ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო.

სახელმწიფო პროგრამის პირობებით მეფუტკრეობის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივში მეპაიეთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 11 ადამიანს, მათ საკუთრებაში არსებული სკები შეადგენდეს მინიმუმ 200. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის ასაკია 35 წლამდე მამაკაცები და 40 წლამდე ქალები, თანადაფინანსდა პროექტის ღირებულების 40% და პროექტით ინვესტიცია უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10000 ლარს. პროექტით ისარგებლა 90 ახალგაზრდამ და გაშენდა 300-მდე ჰექტარი ვენახი, გაკეთდა სამი მცირე ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო. პროგრამა „დანერგე მომავალი“ მიზნად ისახავს: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის თანადაფინანსება ხდება სარგავი მასალის ღირებულების 70%-ით და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა 50%-ით. ფინანსდება არანაკლებ 0. 5 ჰა ფართობი ერთიან პერიმეტრში. ყვარლის მუნიციპალიტეტში პროგრამით ისარგებლა 80-მდე ბენეფიციარმა და გაშენებულმა ფართობმა შეადგინა 540 ჰექტარი. პროგრამის ფარგლებში ხდება ჭაბურღილების და წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის 50%-იანი დაფინანსება.

– აგროდაზღვევით თუ სარგებლობენ ფერმერები?

– აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი. აგროდაზღვევის 2019 წლის პროგრამის ფარგლებში ფერმერებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეზღვით 5 ჰექტრამდე მრავალწლიანი კულტურები და 30 ჰექტარი ფართობი მარცვლეული კულტურების შემთხვევაში (შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის). თითოეული დამზღვევი 70% იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე/ მოსარგებლეზე გადასახდელი პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს). ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად. პროგრამის მიხედვით განსაზღვრული იყო ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი. პროგრამით 2020 წელს ისარგებლა 2200-000 ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 60 პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 18 000 ლარი.

– სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე (ნებისმიერი ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკა, როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი; სასოფლო-სამურნეო ტრაქტორები; ტრაქტორის სასოფლო-სამეურნეო მისაბმელები (იმპლემენტი და მოტობლოკი) ფერმერთა ხელმისაწვდომობა. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენდა შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150, 000 ლარისა. სააგენტოს თანადაფინანსება შესაძლებელია იყოს 50%-ზე ნაკლები იმ შემთხვევაში თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ღირებულება აღემატება 300, 000 ლარს. შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ახალი. პროგრამით ისარგებლა 50 ბენეფიციარმა. სავარაუდოდ მოხდება ამ პროგრამის განახლებაც.

– გლობალური დათბობის შედეგად თანამედროვე რეალობაში წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა წყლის გარეშე, როგორ ვითარდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურა და როგორ ეხმარება სახელმწიფო ფერმერებს სამელიორაციო სისტემების მოწყობაში?

– მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ბოლო წლებში მელიორაციის თვალსაზრისით, ეწყობა ახალი არხები, უმჯობესდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურა. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საგრანტე პროგრამა სამელიორაციო სისტემების მოსაწყობად. ჭის-ჭაბურღილის (მათ შორის სატუმბი სადგურის) მოწყობის თანადაფინანსება. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდებათ/აუნაზღაურდებათ ჭის-ჭაბურღილის (მათ შორის სატუმბი სადგურის) მოწყობის ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 60 პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 18 000 ლარი.

– წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის თანადაფინანსება თუ ხდება?

– წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა დაფინანსდება ისეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ამ პროგრამის ბაღების კომპონენტის ფარგლებში არ არის დაფინანსებული ან/და მოთხოვნილი მრავალწლიანი ბაღის გაშენების დაფინანსება. ფიზიკური და იურიდიული პირის შემთხვევაში – არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0, 5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში – არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე. კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ერთი ბენეფიციარის მიერ არაუმეტეს 50 ჰა წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა.

– სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამა გაუქმდა თუ ისევ გრძელდება?

– საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ამუშავებს მრავალ საინტერესო პროგრამებსა და პროექტებს რეგიონისთვის პრიორიტეტული და რენტაბელური კულტურების მოსაყვანად, რათა მცერემინანმა ფერმერმა შეძლოს სოფლის მეურნეობიდან ისეთი დამატებითი შემოსავლების მიღება, რაც მნიშვნელოვნად გააუჯობესებს ფერმერთა ეკონომიურ მდგომარეობას.

ფერმერების მხარდასაჭერად, აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდა. პროგრამაში რეგისტრაცია იწყება პირველი თებერვლიდან, ელექტრონულად, ვებგვერდის https://my.mepa.gov.ge მეშვეობით. ფასდაკლების ბარათები გააქტიურდება ეტაპობრივად, 7თებერვლიდან. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით. სანვავის ფასდაკლების ბარათებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დიზელის შეუფერხებლად გაცემა მოხდება დადგენილი გრაფიკის მიხედვით: ფასდაკლების ბარათების განაღდება შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით მოქმედ „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 89 ბენზინგასამართ სადგურზე, ასევე მის საბითუმო ბაზებზე თბილისსა და სამტრედიაში. ფერმერებს აგროდიზელის ფასდაკლების ბარათების მიღება ასევე შეუძლიათ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადა 2021 წლის 20 მაისია. მიმდინარე წლის 20 თებერვალს დასრულდება პროგრამის ბენეფიციარებისათვის შარშანდელი აგროქულების დარიცხვა. იმ ბენეფიციარებს, რომელთაც ჯერ არ აუღიათ აგრობარათი, ასევე მათ, ვინც მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია ან დაზუსტება 2020 წლის 31 დეკემბრამდე მოახდინეს, ბარათების მიღებას ფერმერები ლიბერთი ბანკში მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე შეძლებენ.

– გმადლობთ ბატონო მამუკა, საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

საგაზაფხულო სამუშაოები ბაღში

გაზაფხულთან ერთად მებაღეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დგება. სწორედ ახლა ეყრება საფუძველი მომავალი ბაღების ავკარგიანობას.

რა აუცილებელი აგრონომიული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბაღში, რომ მცენარეთა ჯანმრთელობაც შევინარჩუნოთ და უხვი მოსავალიც მივიღოთ, ამ საკითხზე აგრონომი, პრაქტიკოსი მებაღე თენგიზ კუტალია გვესაუბრება:

ხეხილისა და ბუჩქნარის გასხვლის სამუშაოები გაზაფხულზე, ნვენთა მოძრობის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს. საქართველოს უმეტეს რაიონებში ამ სამუშაოს ჩატარება ზამთარშიც შეიძლება, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა.

გასხვლისთვის აუცილებლად დაგვჭირდება: სეკატორი, ხერხი, მჭრელი დანა და ბაღის მალამო ან ზეთოვანი საღებავი.

გაითვალისწინეთ, რომ გასხვლა ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ჩვენ ამით საფუძველს ვუყრით მცენარის ჯანმრთელობას და მოსავალს.

გასხვლისას პირველ რიგში მთლიანად მცენარე უნდა დათვალიერდეს: მისი ქერქის მდგომარეობა, ხომ არ არის დაზიანებები ზამთრის ყინვებისგან ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად. ამ შემთხვევაში დაზიანებული ტოტები უნდა მოიჭრას, ხოლო დაავადებული ადგილები გასუფთავდეს და დამუშავდეს შესაბამისად. ამისთვის ვიყენებთ ბაღის მალამოს ან ზეთოვან საღებავს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში დაზიანებული ადგილები მუშავდება კონცენტრირებული ფუნგიციდით, ბაღის მალამოთი და ჭრილობის შეხვევით.

ხეხილის გასხვლისას გამხმარი ტოტების მოჭრასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ტოტებს, რომლებიც მიმართულია მცენარის ჩონჩხის ტოტების შიგნით. ჩვეულებრივ ეს ტოტები შეფოთვლისას იწვევენ დაჩრდილვას. კარგი განათება და აერაცია კი ხარისხიანი მოსავლის საწინდარია. კურკოვნებისა და თესლოვნების ზოგიერთ ჯიშებს სჭირდება მეტ-ნაკლებად განსხვავებული სხვლა.

არსებობს ზოგადი წესი, როცა დაუშვებელია მახვილი კუთხის ტოტებისა და ნაზარდების დატოვება, განსაკუთრებით პერიფერიულ ნაწილებში, ასეთ შემთხვევაში ნაყოფის სიმძიმემ შეიძლება დაზიანოს ტოტი. ასევე ზოგიერთ ჯიშებზე უნდა შევინარჩუნოთ ცენტრალური ვარჯი ან მისი იარუსიანობა, ხოლო ზოგიერთ ჯიშებს, პირიქით, არ სჭირდება მთავარი ღერძის შენარჩუნება. ამასთანავე, ორივე შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს ე. წ. დაქვემდებარების პრინციპი, როცა პირველი რიგის ტოტებს ექვემდებარება უფრო ნაკლები სისქის მეორე რიგის ტოტები და ა. შ.

დაუშვებელია, რომ პერიფერიული ტოტი იყოს ლიდერი; ასევე არ უნდა დავუშვათ ფესვის ყელთან ახლოს გამოზრდილი ან ქვემოთ მიმართული ტოტების თუ ნაზარდის დატოვება. ისინი ვერ მოგვცემენ ხარისხიან ნაყოფებს.

თოვლის დნობის შემდეგ, შესაფერისი ამინდის პირობებში მცენარეებს უნდა მიეცეს ნიადაგიდან დამატებითი კვება. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ ორგანული და მინერალური სასუქები. კარგია გადამწვარი, უკვე მინერალიზირებული ნაკელი და მინერალურებიდან ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები. ეს სასუქები უზრუნველყოფენ მცენარის ძლიერ და ჯანმრთელ ზრდა-განვითარებას: ფოსფორი მნიშვნელოვანია ფესვთა სისტემის განვითარებისთვის, კალიუმი ყვავილობაზე და მსხმოიარობაზე „მუშაობს“, აზოტი კი ძირითადად მწვანე მასაზე.

საქართველოს პირობებში ამ პერიოდისთვის ძირითადად გამოიყენება კომპლექსური მოქმედების მინერალური სასუქები – „აზოფოსკა“ ან „ნიტროამოფოსკა“. მცენარეებზე ის გამოიყენება 200-600 გრამი და მეტი ერთ ძირზე, მცენარის ზომის მიხედვით. სასუქი საგულდაგულოდ უნდა ჩაიბაროს ფესვთა სისტემის ირგვლივ ისე, რომ არ დავაზიანოთ მსხვილი ფესვები.

გაზაფხულზე, შესაფერისი ამინდის პირობებში უნდა გასუფთავდეს ბაღი მცენარეთა ნარჩენებისგან, გამხმარი ფოთლებისა და სარეველებისგან. შეგროვილი მასა სასურველია დაიწვას ადგილზე. ეს საშუალებას იძლევა მოისპოს სოკოვანი დაავადებების კერა და ამასთანავე განადგურდება მოზამთრე მავნებლები. წვის შედეგად დარჩენილი ნაცარი კი გამოგვადგება სასუქად.

ეს პერიოდი კარგია მრავალწლიან სარეველებთან საბრძოლველად. ტენიან ნიადაგში გამოზამთრებული სარეველები ყველაზე ადვილად ამოსაღებია მიწიდან სწორედ ადრე გაზაფხულზე. ხეხილოვანი მცენარეები ჯერ კიდევ მოსვენების მდგომარეობაშია, სარეველები კი გაცილებით ადრე იწყებენ გაღვიძებას, თანაც ვარჯთან ახლოს სარეველების ფესვიანად ამოძირკვისას ხეხილის ფესვთა სისტემას ზიანი არ ადგება. საგაზაფხულოდ ვარჯების შეთეთრება ჩვენს პირობებში უზრუნველყოფს მცენარის დაცვას მარტისა და აპრილის მწველი მზის სხივებისგან, რათა არ დასკდეს ჯერ კიდევ არაელასტიკური მცენარის ქერქი. შეთეთრება კარგია მისი დეზინფექციისთვისაც. გამოიყენეთ 10%-იანი კირწყალი. კარგი იქნება, თუ 10 ლიტრ წყალში გახსნით 300-350 გრამ შაბიამანს და დაამატებთ 1 კილოგრამ მიწას.

მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა გაზაფხულიდანვე იწყება, როცა დღე-ღამის საშუალო ტემპერატურა +5 გრადუს ცელსიუსს მიაღწევს. ამ დროს კვირტები ჯერ კიდევ მძინებულია, კარგი პირობებია მცენარეთა შესანამლად. აგრონომები ურჩევენ ყვავილობამდე არა ერთ, არამედ რამდენჯერმე შეწამვლას, თუ მოგეცემათ ამის შესაბამისი კლიმატური პირობები.

ყველაზე გავრცელებული პრეპარატებია: შაბიამანი (3-5%), კარბამიდი, იგივე შარდოვანა (3-5%), რკინის ძაღა (3-5%), პრეპარატი 30 – ზეთოვანი ემულსია (2%) B 58-თან (0. 2%) ერთად. ეს ემულსიები შეწამვლისას კომპლექსურად მოქმედებენ როგორც მავნებელთა მთელ ჯგუფზე, ასევე დაავადების გამომწვევ სოკოებზე. რომელიმე პრეპარატის უპირატესობა ძნელი დასადგენია და მეურნემ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტული ბაღის მდგომარეობით, მისი წინა ისტორიით და ა. შ. სწორედ ამ პირობებზე, მცენარეების ასაკზე და კვირტების მდგომარეობაზეა დამოკიდებული პრეპარატის კონცენტრაცია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბრძანება №53

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე

ლოტის #	ქონების დასახელება და მისამართი	სასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე» (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილ. ბილეთი (ლარი)
1.	ს. ჩანთლისყურე	8579 (371კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება)	_	57.03.51.599	13727	2745	690	50
2.	ს. ჩანთლისყურე	6478	_	57.03.51.332	9717	1944	490	50



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990188711943521

№ 53 05 / თებერვალი / 2021 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, სანყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაეკალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი ზაუტაშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 დეკემბრის #1089 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის თანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563394;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მონმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია სანყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2021 წლის 16 მარტს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2021 წლის 15 თებერვლიდან 16 მარტის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი : № 595 903 322; № 577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

რა გართულებებს ტოვებს კოვიდგადატანილ პაციენტებში ვირუსი

Covid19ის გადატანის შემდეგ, პაციენტებს თვეების განმავლობაში ანუხებთ სხვადასხვა სიმპტომი, რასაც „ხანგრძლივი კოვიდის სინდრომს“ ან პოსტკოვიდურ გართულებებს უწოდებენ. კოვიდგადატანილი 23 წლის ექიმის სავარაუდოდ, თრომბით გარდაცვალებამ, უამრავი შეკითხვა გააჩინა, რადგან კორონავირუსს სხვა გართულებებთან ერთად, თრომბოემბოლიური გართულებაც ახასიათებს.

რა ჩივილები აწუხებთ კოვიდგადატანილებს და არის თუ არა კავშირში უეცარი სიკვდილის შემთხვევები კოვიდის შემდგომ გართულებებთან – AMBEBI.GE ამ საკითხით დაინტერესდა და სპეციალისტებს ესაუბრა.

ჯანდაცვის ექსპერტი გიორგი ფხაკაძე ამბობს, რომ იმ პაციენტებში, ვისთანაც ვირუსი მძიმე ფორმებში მიმდინარეობს 25%ს აღენიშნება პოსტკოვიდური გართულებები. მისი თქმით, შესაძლოა ეს შემაწუხებელი სიმპტომები ერთ წლამდეც გაგრძელდეს.

„სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში“ დაიბეჭდა კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც პოსტკოვიდური სიმპტომების მთელი კასკადი არსებობს. პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ კოვიდი ძალიან ინდივიდუალურად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და არასოდეს ვიცით ვის რა ორგანოს დაუზიანებს.

ერთი კვლევის თანახმად, კოვიდი პრობლემას ტოვებს ფილტვებში. დაავადებაგადატანილ პირებს უჭირთ სუნთქვა და ენერგია უქვეითდებათ. დადგინდა, რომ მაგალითად, სპორტსმენებს უჭირდათ ძველებური დატვირთვით მუშაობა და აღენიშნებოდათ გახშირებული სუნთქვა. გარდა ამისა, კოვიდი აზიანებს გულსისხლძარღვთა სისტემასაც. გამოიხატა მიოკარდიუმის, ანუ გულის კუნთის მიმდინარე ანთებითი პროცესები და მასთან დაკავშირებული გართულებები.

კიდევ ერთი საყურადღებო სიმპტომი, რაც საკმაოდ გავრცელებულია, გახლავთ დეპრესიული გამოვლინებები: შფოთვა, გუნებაგანწყობილების დაქვეითება და უძილობა.

თავიდან ექიმებს ეგონათ, რომ ეს იყო პოსტკოვიდური სტრესი, მაგრამ იმდენად დიდხანს გასტანა, აღმოჩნდა, რომ ეს არის პოსტკოვიდური პრობლემა და საქმე გვაქვს სისტემების კომპლექსურ დარღვევებთან.

ერთერთ კვლევაში აღწერილი იყო კონცენტრაციის დაქვეითების შემთხვევებიც. მაგალითად, გრაფიკული დიზაინერი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა კომპიუტერთან, ვერ აკეთებდა კონცენტრაციიას და მუშაობას ვერ ახერხებდა“ – საუბრობს ფხაკაძე AMBEBI.GE-სთან.

ჯანდაცვის ექსპერტის პროგნოზით, მალე საქართველოში პოსტკოვიდური კლინიკების გახსნის აუცილებლობა დადგება. ასეთი დანესებულებები უკვე გაიხსნა აშშში და წარმატებით ფუნქციონირებს.

„ძალიან ბევრმა გადაიტანა კოვიდი საქართველოში და ბევრს დასჭირდება მკურნალობა. აუცილებლად უნდა განსაზღვროს ჩივილები პოსტკოვიდურია თუ ზოგადი. ამისთვის საჭირო გახდება სპეციალური დაწესებულებები, სადაც კომპლექსურად უმკურნალებენ პაციენტებს“ – ამბობს ფხაკაძე.

შიდსისა და ინფექციური პათოლოგების ცენტრის ექიმი ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა AMBEBI.GE-სთან იმ გართულებებზე საუბრობს, რომლებიც პრაქტიკაში ჰქონია კორონაგადატანილ პაციენტებში.

ექიმის თქმით, კოვიდის შემდგომი გართულებები მხოლოდ იმ პაციენტებშია გავრცელებული, რომლებმაც დაავადება მძიმედ გადაიტანეს.

ხალხური რეცეპტები კვერცხის ნაჭუჭისგან

ყველასთვის ცნობილია, კალცის ნაკლებობა რამდენ პრობლემას იწვევს ადამიანის ორგანიზმში, ნებისმიერ ასაკში. ბავშვებში კალცის ნაკლებობა განსაკუთრებულად საშიშია. კალცის მარაგის შესავსებად ხშირად ვიღებთ სხვადასხვა პრეპარატს, საკვებ პროდუქტს, რომელიც კალცით არის გაჯერებული. თუმცა ხალხურ რეცეპტებში ხშირად შეგხვდებათ კვერცხის დაფქული ნაჭუჭი, რომელსაც დღეს ტრადიციული მედიცინაც აღიარებს და ჰომეოპათებიც აქტიურად იყენებენ. ის კალცის ბუნებრივი საბადოა, მისგან კი ადვილად მზადდება სხვადასხვა ნარევი, რომლებიც კალცის მარაგს უვსებს ადამიანს. განსაკუთრებით სასურველია კვერცხის ნაჭუჭის მიღება შემოდგომასა და გაზაფხულზე.

რეცეპტი 1

ერთი კურსისთვის საჭიროა, რომ 10 უმი კვერცხის ნაჭუჭი კარგად

გარეცხოთ, გააშროთ და შემდეგ კარგად დაფქვათ, რაც შეიძლება წმინდად. შემდეგ ეს ნაჭუჭი მოათავსოთ პატარა ჭურჭელში და დაასხათ იმდენი ლიმონის წვენი, რომ ნაჭუჭი დაფაროს. შემდეგ ეს ნარევი, თავდახურული, 10 დღით უნდა დადგათ ბნელ ადგილას. 10 დღის შემდეგ იმდენივე თაფლი უნდა დაასხათ, რამდენიც ნარევია. ეს ნაზავი დიდმა თუ პატარამ, ვისთვისაც კეთდება, უნდა მიიღოს ყოველდღე, სურვილის მიხედვით - დღეში ერთხელ ან ორჯერ, ორი კვირის ან ერთი თვის განმავლობაში. პატარამ - ნახევარი ჩაის კოვზი, დიდმა – ერთი ჩაის კოვზი (ზოგიერთი სუფრის კოვზითაც იღებს, რადგან მას არავითარი მავნებლობა არ აქვს). კალციუმს, რომელსაც შეიცავს კვერცხის ნაჭუჭი, ლიმონთან ერთად ადვილად შეიწოვს ორგანიზმი. თაფლი თავისი თვისებებით ამდიდრებს და კალცის მარაგის შევსების გარდა, იმუნიტეტსაც უძლიერებს ადამიანს.

რეცეპტი 2

ვისაც თაფლის აუტანლობა აქვს, მას შეუძლია, მხოლოდ ლიმონისა და კვერცხის ნაზავი მიიღოს, თუნდაც ცოტა ანადუღარი წყლის გაზავებით.

რეცეპტი 3

ზოგიერთი პირდაპირ, გამოყენების წინ ფქვავს ცოტა ნაჭუჭს და მერე კოვზზე აწვეთებს ცოტა ლიმონს.

ამგვარი ნარევები კარგია ბავშვების ძვლების ზრდისთვის, გამაგრებისთვის,

დიდებში ოსტეოპოროზების, კლიმაქტორული პერიოდის და კალცის ნაკლებობით გამოწვეული სხვადასხვა დაავადების დროს. კვერცხის ნაჭუჭი იმდენად სასარგებლოა ბევრი რამისთვის, რომ მას ისედაც, კარგად გარეცხილს, შემდეგ გამშრალსა და დაფქულს, ზოგიერთები მუდმივად იყენებენ. პატარა ბავშვებისთვის, 6 თვიდან 1 წლამდე, დაახლოებით მესამედ ჩაის კოვზს ურევენ ხოლმე წყალში ან საჭმელში (ერთთვიანი კურსით, წელიწადში ორჯერ), ცოტა მოზრდილებისთვის, 3 წლამდე - ორჯერ მეტს.

ისწავლეთ ნივრით ინჰალაცია

მკურნალობის ეს მეთოდი პირადად მე ძალიან დამეხმარა. ნივრით ინჰალაცია – საუკეთესო გამოსავალია მათთვის, ვისაც სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს.

არაჩვეულებრივია ეს მეთოდი ბავშვებში ხველის სამკურნალოდ, რადგან სააფთიაქო სიროფებისგან განსხვავებით, ის არ ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას, ეფექტურობით კი ძვირადღირებულ პრეპარატებს საერთოდ არ ჩამოუვარდება.

ნივრით ინჰალაცია

საჭირო ინგრედიენტები:

- 250 მლ წყალი
- 6 კბილი ნიორი
- 1 სუფრის კოვზი საჭმელი სოდა

ინსტრუქცია:

1. ჩაასხით წყალი ქვაბში და დადგით ცეცხლზე.
2. სანამ ის წამოდუღდება, რაც შეიძლება წვრილად დააქუცმაცეთ ნივრის ექვსივე კბილი.
3. მდუღარე წყალში დაამატეთ გამზადებული ნიორი და მინიმუმამდე დაუწიეთ ცეცხლს.
4. ქვაბს დააფარეთ თავსახური და დატოვეთ დაბალ ცეცხლზე ხუთი წუთით, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან.
5. როდესაც მასას ცეცხლს მოაშორებთ, მხოლოდ ამის შემდეგ დაამატეთ საჭმელი სოდა და შეუდექით ინჰალაციის პროცედურის ჩატარებას.

როგორ ჩავიტაროთ ინჰალაცია?

1. დადექით ჭურჭელთან ახლოს და მიიტანეთ სახე ცხელ მასასთან იმ დისტანციაზე, რომ კანი არ დაგეწვათ.
2. თავზე გადაიფარეთ თბილი ქსოვილი და შეუდექით ორთქლის აქტიურად შესუნთქვას.
3. შეისუნთქეთ ღრმად ცხვირით და ამოისუნთქეთ პირით. განაგრძეთ ასე იქამდე, სანამ წყალი არ გაცივდება.
4. პროცედურის ჩატარება რეკომენდებულია საღამოს საათებში, დაძინებამდე რამდენიმე წუთით ადრე. დაახლოებით 3 ინჰალაცია საკმარისი იქნება პაციენტის სრულიად გამოსაჯანმრთელებლად.

როგორც უკვე ვახსენეთ, სააფთიაქო პრეპარატებისგან განსხვავებით, ეს მეთოდი არ ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას, მისი ეფექტურობა კი ეჭვგარეშეა!

გამოსათხოვარი

მეუღლე დავით ჭერაშვილი, შვილები: მარიამი და ზურაბი, ძმა ილია, დები: მაია და ნინო მზექალაშვილები, შვილიშვილი ლუკა ბუხრაძე, სიძეები: კახა ბუხრაძე და ვახტანგ მეტრეველი, მაზლი ლევან ჭერაშვილი, რძლები: ეკა ზაუტაშვილი და ნანა მაჭარაშვილი, მძახლები: აკაკი ბუხრაძე, ვიქტორ და ირმა ჯიქიები, ძმისშვილები, ბიძაშვილები და დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქეთევან ზურაბის ასულ მზექალაშვილის გარდაცვალებას.

დაკრძალვა 14 თებერვალს, ქ. ყვარელში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია მწუხარებაში თანაუგრძნობენ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატს ილია მზექალაშვილს დის ქეთევან ზურაბის ასულ მზექალაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

რა საფრთხის შემცველია ხვრინვა

ხვრინვა – სპეციფიკური ხმა, რომელიც თან ახლავს სუნთქვას ძილში, საყლაპავისა და ხორხის რბილი ქსოვილების ვიბრაციის შედეგად. 30-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცების 44% და ქალების 28% ძილში ხვრინავენ.

ხვრინვის ძირითადი მიზეზია ჭარბი წონა, სიმსუქნე ან ორსულობა. ამის მიზეზია სასუნთქ გზებში ქსოვილების მოცულობის გაზრდა, რაც თავის მხრივ იწვევს მათ ვიბრაციას სუნქთვისას. ხორხისა და საყლაპავის რბილი ქსოვილების მოცულობის გაზრდა შეიძლება განპირობებული იყოს გენეტიკურად. მაგალითად, ნუშურების გადიდება, მსხვილი ადენოიდები, ან გრძელი რბილი სასა. ამ შემთხვევაში ადამიანი ზურგზე წოლისას ხვრინავს.

ამას გარდა, ცხვირიდან სუნთქვის ნებისმიერი გაძნელება შეიძლება გახდეს ხვრინვის მიზეზი: ალერგია, სურდო, ცხვირის ძგიდის გამრუდება.

ხვრინვის მიზეზი შეიძლება იყოს ზოგიერთი სამკურნალო საშუალების, ალკოჰოლის მიღება, მწეველობის ხანგრძლივი სტაჟი. ხვრინვის სიმპტომი შეიძლება იყოს პირის სიმშრალე და ყელის ტკივილი.

ხვრინვის მიზეზი შეიძლება იყოს ღამის აპნოე. ამიტომ საყურადღებოა ისეთი სიმპტომები, როგორიცაა:

- დღე გამოხატული ძილიანობა;
- დღის მანძილზე თავის ტკივილი;
- ყურადღების კონცენტრაციის გართულება;
- გაღიზიანებადობა და დეპრესია
- ძილის დროს ჰაერის უკმარისობა.

ხვრინვა აქვეითებს ძილის ხარისხს და მოქმედებს ახლობლების ძილზე. ხვრინვა წარმოადგენს ღამის აპნოეს სიმპტომს (ძილის დროს სუნთქვის ხანმოკლე გაჩერება), რომელიც თავის მხრივ შეიძლება გახდეს არტერიული ჰიპერტენზიის მიზეზი და წარმოადგენს ინსულტის, გულის უკმარისობის, წინაგულების ფიბრილაციისა და გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკფაქტორს. ამას გარდა, ცნობილია, რომ ძილის აპნოე ზრდის ჰორმონ გრელინის („შიმშილის ჰორმონი“) დონეს, რომელიც მადისა და სიმაძღრის გრძნობის რეგულაციაში მონაწილეობს.

წონაში კლება – ხვრინვის მკურნალობის და ღამის აპნოეს პროფილაქტიკის ძირითადი პუნქტია. უარი თქვით მავნე ჩვევებზე, ნუ დაიძინებთ ზურგზე. ხვრინვის მკურნალობის ყველაზე რადიკალური და სადავო მეთოდი ქირურგიულია, რომელიც თითოეულ პაციენტთან ინდივიადუალურად უნდა განიხილებოდეს.

mkurnali.ge

კორონავირუსის გავრცელების მხრივ დიდმა ბრიტანეთმა ევროპაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ლოკდაუნის მეხუთე დონე გამოაცხადა. კორონავირუსთან დაკავშირებულ სიახლეებზე „კვირის პალიტრას“ ვირუსოლოგი **ტატა ქეგაძე** *ესაუბრება. ის ლონდონში იმპერიალ კოლეჯის ლაბორატორიის ხელმძღვანელი გახლავთ.*

შეუძლებელია, ორგანიზმს კორონავირუსი გადატანილი ჰქონდეს და მეორედ უარესად დაგემართოს“ – რას ამბობს ლონდონში მომუშავე ქართველი ვირუსოლოგი

„ინგლისში კორონავირუსის ორჯერ გადატანის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა“

– ითქვა, რომ საფრანგეთში შეგიძლია შეხვიდე აფთიაქში, იყიდო ტესტი, თვითონ გაიკეთო და რამდენიმე წუთში იცოდე პასუხი. თქვენთანაც ასეა?

– არა. უკვე მესამე ლოკდაუნია, მაგრამ მე რომ მკითხოთ, მეორე ლოკდაუნი არც ყოფილა, იმიტომ, რომ აქამდე ყველაფერი არ დაკეტილა, სკოლებიც კი მუშაობდა, ახლა კი უკვე რამდენიმე დღეა, სკოლებიც დაკეტეს, უმაღლესი სასწავლებლებიც სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. ბაგა-ბაღები მუშაობს მხოლოდ მათი შვილებისთვის, ვინც ახლა მუშაობს, მაგალითად, ექიმების, სუპერმარკეტების თანამშრომლების და ა.შ.

– ტესტებზე ვსაუბრობდით...

– დიახ, ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ხუთი სიმპტომიდან – ტემპერატურა, თავის ტკივილი, გახანგრძლივებული ხველა, ყნოსვის დაკარგვა, გემოს დაკარგვა – ერთი მაინც აქვს, შეუძლია შევიდეს სპეციალურ ვებგვერდზე და ტესტი ჩაიტაროს. ყველა თვითონ ირჩევს – ან სახლში გიგზავნიან პერსონალს ტესტის ჩასატარებლად, ან, თუ მანქანა გყავს, შეგიძლია ლაბორატორიაში მიხვიდე. ტაქსით წასვლა არ შეიძლება. ნაცხს მანქანიდანვე აგიღებენ, პასუხი კი 48-72 საათში მოდის. ჩემი აზრით, შემთხვევების ასეთი მაღალი მაჩვენებელი იმანაც განაპირობა, რომ ტესტის ჩატარება შეუძლია ყველას, ვისაც ერთი სიმპტომი მაინც აქვს.

ახალი მუტაციის შედეგად ერთი რამ შევნიშნეთ – პირველი ტალღის დროს ბავშვებში შემთხვევები თითქმის არ გვქონია, ახლა ბავშვებშიც არის, თუმცა რთულად მიმდინარე – არა. ძირითადად, თავის ტკივილი ან დაბალი ტემპერატურა აღენიშნებათ, ერთი-ორი დღის შემდეგ კი კარგად არიან. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვები გადასარევი გადამტანები არიან ამ ვირუსის და „შესანიშნავი“ მიმტანებიც.

– კორონავირუსის ახალ შტამს ზოგიერთი უკვე ბრიტანულ შტამად მოიხსენიებს. რა ვიცით მის შესახებ?

– ჩვენთან ლაპარაკია ორ ახალ შტამზე, გუშინ კი გამოაცხადეს მესამის შესახებ, რომელიც ბრაზილიაში დადასტურდა 6 იანვარს. მის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით. რაც შეეხება შტამს, რომელიც სექტემბრის ბოლოს კენტში დაფიქსირდა და ნოემბრიდან უკვე ლონდონს მოედო, სამი მეოთხედი ახალი შემთხვევებისა სწორედ ამ ახალი შტამისაა, თუმცა ის საშიში არ არის.

მუტაცია სულ ხდება. მთავარია, ამის შედეგად ვირუსი ისე არ შეიცვალოს, რომ ან ვაქცინამ არ იმუშაოს, ან სიკვდილიანობა გაიზარდოს. ჯერჯერობით ეს არ ხდება, თუმცა ბრიტანული შტამი უფრო სწრაფად ვრცელდება.

– თქვენ სამი ახალი შტამი ახსენეთ. ერთია ბრაზილიური, რომლის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, მეორე – ბრიტანული, რომელიც სწრაფად ვრცელდება, მაგრამ საშიში არ არის... მესამე რომელია?

– ეს არის სამხრეთაფრიკული მუტაცია. ჯერჯერობით ის მხოლოდ სამხრეთ აფრიკაშია დადასტურებული. ინგლისში გამოუვლინდა ერთ პაციენტს, რომელმაც აფრიკაში იმოგზაურა. ამ შტამზე ღელავენ იმიტომ, რომ ჯერ მასზე ზუსტად არაფერი იციან. ეშინიათ, რომ შეიძლება მასზე ვაქცინამ ისე კარგად არ იმოქმედოს, როგორც ელიან. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ აფრიკის შტამით ინფიცირების შემთხვევაში გამოჯანმრთელებულის პლაზმის გამოყენებას ის შედეგი არ მოჰყვა, რაც მოსალოდნელი იყო.

ახლა ბრიტანეთში ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად აცრან ადამიანები, სანამ ეს ახალი მუტაციები შემოვა და გავრცელდება. ბევრი დოზაა წინასწარ შეძენილი, მაგრამ ყველა ერთდროულად არ შემოდის. ჯერ მხოლოდ ნახევარი მილიონი დოზა ჩამოვიდა. თავიდან აპირებდნენ, 21 დღის ინტერვლით მიეცათ პირველი და მეორე დოზა, ახლა კი გადაწყვიტეს, ყველას მისცენ პირველი დოზა. მეორე დოზას 12 კვირით აგვიანებენ. თვლიან, რომ პირველი დოზა ასე თუ ისე მაინც იცავს ვირუსისგან.

ჩემი მეუღლე ანტისხეულების ტესტებზე მუშაობს და მასთან მოვიდნენ ერთხელ ვაქცინირებული ადამიანები, რომელთაც უკვე აქვთ სისხლში ანტისხეულების გარკვეული დონე, თუმცა თუ სრულად დაცვა გინდა, მეორე დოზა გჭირდება. რაკი ჯერჯერობით ამდენი ვაქცინა არ აქვთ, პირველ დოზას სჯერდებიან. გაამართლებს თუ არა ეს მეთოდი, ვნახავთ. 2-დან 12 დეკემბრამდე რომ მოიხსნა შეზღუდვები, ძალიან გაიზარდა ინფიცირებულთა რაოდენობა, ანუ ეს მხოლოდ მუტაციის ბრალი არ იყო. გრიპის ვირუსიც იცვლება და სწორედ ამიტომ ყოველ წელს სხვადასხვა ვაქცინას გვიკეთებენ. მთავარია, ისეთი რამ არ მოხდეს, რომ ამდენი შრომა წყალში ჩაიყაროს...

ბრიტანეთში გამოკითხვა ჩაატარეს და 67%-მა განაცხადა, რომ დიდი სიხარულით ელოდა ვაქცინას. ამ მხრივ საფრანგეთსა და ამერიკაშია ცუდი მდგომარეობა, იქ ბევრი ანტივაქცინისტია.

– სიმბოლური იყო, რომ ინგლისში პირველი აიცრა უილიამ შექსპირი. ეს პიარის ნაწილი იყო თუ დამთხვევა?

– შექსპირი და კიდევ ერთი ქალბატონი ჰოსპიტალში

მკურნალობდნენ სხვა დიაგნოზით. სახლში დაურეკეს, ჰოსპიტალში შესთავაზეს აცრა და თანხმობის შემდეგ შეიტყვეს, რომ ეს იყო უილიამ შექსპირი. მგონი, ლამაზი დამთხვევა უფროა.

– პირველად ვინ იკეთებს ვაქცინას?

– ჯერ 90 წელზე უფროსი ადამიანები, მერე ქვემოთ მოუყვებიან – 80 წელზე უფროსი, 70-ზე უფროსი... ბოლო 50-ზე უფროსი თაობაა. 50-ზე უმცროსებს, ალბათ, ყველას რომ აცრიან, მაშინ მოუწევთ. ვხუმრობთ ხოლმე, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნატრობ, 50-ზე მეტის იყოო. ინდონეზიაში, მაგალითად, ჯერ იმ ადამიანებს ცრიან, ვინც მუშაობს. თვლიან, რომ ისინი არიან გადამტანნი და გამავრცელებლები და არა – ხანში შესულები, რომლებიც სახლში სხედან. ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ასაკს და თანმხლებ დაავადებებს. თქვენს ნახსენებ უილიამ შექსპირს თირკმლის დაავადება ჰქონდა, დიალიზზე იყო და იმიტომ გაუკეთეს ვაქცინა.

– მეორედ ინფიცირების ამბებზე რას გვეტყვით?

– ინგლისში კორონავირუსის ორჯერ გადატანის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა.

ჰონკონგში ამბობენ, რომ მეორედ ინფიცირების შემთხვევა ჰქონდათ. მე ამას სკეპტიკურად ვუყურებ. გარდა ანტისხეულებისა, ორგანიზმს აქვს მეხსიერება. ერთხელ ტელევიზიით ამბობდა ამერიკელი ექიმი, კორონავირუსი პირველთან შედარებით მეორედ უფრო მძიმედ გადავიტანეო. ბოლომდე რომ ვუყურე, აღმოჩნდა, რომ პირველ ჯერზე მას ტესტი არ გაუკეთებია და თვითონ დაასკვნა, რომ ინფიცირებული იყო. შეუძლებელია, ორგანიზმს ვირუსი გადატანილი ჰქონდეს და მეორედ უარესად დაგემართოს. შეიძლება დაგემართოს, მაგრამ აუცილებლად – უფრო სუსტად.

– საქართველოში ხშირად ჩამოდიხართ?

– ყოველ წელს ჩამოვდიოდით, მხოლოდ წლევანდელი ზაფხული გამოვტოვეთ კორონავირუსის გამო. ჩემი მეუღლე ავსტრალიელია. ის იმუნოლოგია. სამედიცინო ინსტიტუტშიც კითხულობს ლექციებს და ბევრი კვლევის ავტორიცაა. აქ იმპერიალ კოლეჯში მუშაობდა. სწორედ იქ გავიცანით ერთმანეთი.

– ჩანს პანდემიის დასასრულის დასაწყისი?

– 2021 წლის ბოლოსთვის კარგი მდგომარეობა გვექნება. ვაქცინას ხომ ასე ელოდებოდნენ, მაგრამ შექმნეს და ახლა მიწოდება ფერხდება! მხოლოდ 700 საიტია, რომლებსაც ვაქცინის მიწოდება შეუძლა.

ახლა ყველა ექთანს და ექიმს აქვს უფლება, ვაქცინაცია გააკეთოს, მაგრამ თუ მე მომინდება ამ საქმეში დახმარება, უფლებას არ მომცემენ, რადგან ლაბორატორიაში ვმუშაობ. ტრენინგები უნდა გავიარო, რომ ვაქცინაციის პროცესში მონაწილეობის უფლება მივიღო.

kvirispalitra.ge

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი



რაც მთავარია, იგი ვალმოხდილი და პირნათელი წავიდა ამ ცხოვრებიდან...

90 წლის ასაკში ამ ცხოვრებიდან წავიდა ჩვენი ღირსეული თანამოქალაქე და მეგობარი, არაჩვეულებრივი პიროვნება და მამულიშვილი, წარსულში შესანიშნავი სპორტსმენი და ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის სახელგანთქმული მეკარე, ვაჭრობის დარგის დამსახურებული მუშაკი ზაურ ჩახნაშვილი.

მან ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო ამ წუთისოფელში. გზა, რომელიც აღსავსე იყო სირთულეებითა და მოულოდნელობებით, აღმასვლებითა და შეფერხებებით, წარმატებებითა და ამასთან ერთად, როგორც ჩვენს ბედუკუღმართ საწუთროს სჩვევია, თავს დამტყდარი უეცარი უბედურებებით...

უკვე შორს დარჩა ის დრო და ყვარელს ალბათ ერთეულებიღა შემორჩნენ დიდი სამამულო ომის შემდგომი წლების იმ თაობიდან, ვისაც მისი ოსტატური თამაში უნახავს და ახსოვს ყვარლელთა საიმედო მეკარე, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ათასობით გულშემატკივარი და ფეხბურთის თაყვანისმცემელი. „ჩახნა“ როგორც მას სიყვარულით მოიხსენიებდნენ, საყოველთაოდ აღიარებული კერპი გახლდათ წლების განმავლობაში!

იგი ათი წლის განმავლობაში შეუცვლელად იცავდა ყვარლის სპორტულ ღირსებას, იყო გუნდის კაპიტანი, აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ კი მრავალი წლის განმავლობაში გახლდათ ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი გუნდის აღზევება მაშინდელი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, სადაც მრავალი წლის მანძილზე წარმატებით გამოდიოდა.

წარმატებული სპორტული მოღვაწეობის პარალელურად იგი ავტორიტეტიანი და ზედმიწევნით მცოდნე მუშაკის სახელით სარგებლობდა ვაჭრობის სფეროში და გახლდათ იმდროინდელი რაიკავშირის სისტემის ერთ-ერთი წამყვანი და გამორჩეული სპეციალისტი. წლების განმავლობაში მუშაობდა რაიკავშირის უფროსი საქონელმცოდნის, სამრეწველო საქონელმცოდნის, რაიუნივერმაღის დირექტორის, სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარის თანამდებობებზე. სადაც კი მოღვაწეობდა, ყველგან გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, საქმისადმი კვალიფიციური მიდგომით და პროფესიონალიზმით. მას მთელ საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) იცნობდნენ და მაშინდელი ცეკავშირის სისტემაში უზომოდ დიდ პატივს სცემდნენ.

ზაურ ჩახნაშვილის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, საერთო გადასახედიდან ერთობ წარმატებული და მისაბაძიც გახლდათ და იგი, თავისი კაცობიდან გამომდინარე, იმსახურებდა იმას, რომ ბოლომდე მშვიდად და უეკლოდ ევლო ამ გზაზე; თუმცა, როგორც დიდი აკაკი წერეთელი ბრძანებდა – „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?“

სამწუხაროდ, ვერც ჩვენმა მეგობარმა გაიხარა ბოლომდე და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მიწურულს ულმობელმა წუთისოფელმა შხამით სავსე ფიალა შეასვა... დიახ, ამაგდარ კაცს სწორედ ასეთ ხანდაზმულ ასაკში უმტყუნა ბედმა, როცა ერთადერთი შვილი, შესანიშნავი ვაჟკაცი დათო ჩახნაშვილი გამოეცალა ხელიდან, ხოლო სულ ახლახანს მეუღლე ნუნუ ჩახნაშვილიც მოულოდნელად გაწირა ამ წუთისოფელს და თავისი შვილის გზას გაუყვა...

ძალზე ძნელია და შეუძლებელიც, რომ ადამიანმა წარმოიდგინოს იმ სტრესისა და უბედურების მასშტაბები, რაც ჩვენმა მეგობარმა განიცადა ასეთი მძიმე დანაკარგების გამო. იგი განუზომელი მწუხარებითა და ტკივილიანი ხსოვნით ცხოვრობდა ბოლო თვეების განმავლობაში და უსიხარულოდ შეეგება თავისი 90 წლის იუბილეს, რომელიც სულ ახლახანს მივულოცეთ...

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შეხვედრისას ვამხნევებდით და ვაიმედებდით, აშკარად ემჩნეოდა, რომ იგი, წლების ტვირთით დამძიმებული, ფიქრებით და მოგონებებით სულ იქ იყო, იმ სამყაროში, თავის ერთადერთ ვაჟკაცთან და ძვირფას მეუღლესთან... და აგერ, ეს დღეც დადგა, როცა მათ სულებს შეურთდა მისი განამებული სული იმქვეყნიურ სასუფეველში!

გვინდა გვჯეროდეს, რომ ახლა ყველა ერთად არიან და ამიერიდან ვეღარაფერი დააშორებს ერთმანეთს...

ძალიან გვიმძიმს განშორების სტრიქონების წერა და ჩვენი მეგობრის შესახებ წარსულ დროში საუბარი, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არის, ასეთი ყოფილა წუთისოფლის დაუწერელი კანონი...

ისღა დაგვრჩენია მადლობა ვუთხრათ ჩვენს ძვირფას მეგობარს ზაურ ჩახნაშვილს კაცური კაცობისათვის, უანგარო მეგობრობისათვის, კარგი მამულიშვილობისათვის და ვაჟკაცობისათვის, რაც მან თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა!

რაც მთავარია, იგი ვალმოხდილი და პირნათელი წავიდა ამ ცხოვრებიდან და თან გაიყოლა იმედი, რომ მისი დანატოვარი ორი ვაჟკაცი შვილიშვილი ღირსეულად გააგრძელებენ მის ტრადიციებს!

დიდი სინანულით ვემშვიდობებით ზაურ დავიდიჩს, ჩვენს „ჩახნას“ და უფალს შევთხოვთ მფარველობა ნუ მოაკლოს მის სულს და სიმშვიდე მის სამარადისო განსასვენებელს!

ᲐᲚᲘᲛᲐᲜ ᲚᲐᲤᲐᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲘᲒᲘᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ
ᲝᲛᲐᲠ ᲡᲔᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲤᲝᲜᲢᲔᲜᲐ)

მეუღლე ნინო, შვილები: მაია, ილია; სიძე გია არაბული, რძალი ეკა მერაბიშვილი; შვილიშვილები: თაკო, თეკლა, ბექა არაბულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გურამ (შანტი) ასანაშვილი

დები: დალი და მარინა ასანაშვილები; დისშვილები: ნანა, ნონა, ილია ჩახნაშვილები, გია და ნათია სამყრაშვილები; ბიძაშვილები: ლეო, ვასიკო, ლალი ასანაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გურამ (შანტი) ასანაშვილი

მედიკამენტი, რომელიც კოვიდ19-ის გადაცემას ბლოკავს

ჯორჯიის შტატში მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი, MK-4482/EIDD-2801, ანუ მოლნუპირავირი 24 საათში ბლოკავს კორონავირუსის გადაცემას.

მეცნიერთა ჯგუფს პროფესორი რიჩარდ პლემპერი ხელმძღვანელობს.

„ეს არის პირველი დემონსტრირება პერორალური პრეპარატის, რომელიც სწრაფად ბლოკავს SARS-CoV-2-ს. MK-4482/EIDD-2801-ს თამაშის წესების შეცვლა შეუძლია“ – აცხადებს პლემპერი.

„ეს გარღვევაა SARS-CoV-2-ის ფართოდ გადაცემის პროცესში, ვიდრე საყოველთაო ვაქცინაცია ყველასთვის გახდება ხელმისაწვდომი და მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც პანდემიის კატასტროფულ შედეგებს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს“ – ნათქვამია უნივერსისტეტის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ სტატიაში. პრეპარატის მიღება ინფიცირების ადრეულ სტატიაზეა



შესაძლებელი, რასაც სამი უპირატესობა აქვს: ხელს უშლის პაციენტის დამძიმებას, ამცირებს ინფიცირების ფაზას, რაც ამსუბუქებს ემოციურ და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რაც მისი ხანგრძლივი იზოლაციით იქნება გამოწვეული და ასევე სწრაფად ახშობს ადგილობრივ აფეთქებებს.

კვლევა დააფინანსა ჯორჯიის შტატის ალერფიისა და ინფექციური დაავადებების ინსტიტუტმა.

როგორ შევქმნათ სახლში იდეალური სურნელი

დატვირთული დღის შემდეგ სახლში ბრუნდებით და უსიამოვნო სუნი გხვდებათ? წარმოიდგინეთ თქვენი უხერხულობა, თუკი გვერდს სტუმრებიც გიმშვენებენ და ელოდებიან, როდის შეუძღვებით სახლში. უხერხულია, არა?

ამ სტატიაში რამდენიმე ეფექტურ და მარტივ ხერხს გასწავლით, თუ როგორ შეინარჩუნოთ სახლში სუფთა, ჯანსაღი და სასიამოვნო სურნელი.

ᲨᲕᲠᲘᲐ - არასასიამოვნო სუნის მიზეზი, პირველ რიგში, მაცივარი და ნაგვის ურნა შეიძლება იყოს. ამ დროს ნატურალური მხსნელი შვრიის ფანტელია. მოათავსეთ ცოტა შვრია ჯამში და მაცივარში შედგით, ცოტა კი ურნის ძირში ჩაყარეთ. ერთი შეხედვით, მარტივი ხრიკი ძალიან ეფექტურია.

ᲓᲐᲠᲘᲩᲘᲜᲘ - დარიჩინის ჩხირები ჯადოსნური პროდუქტია. მოათავსეთ დარიჩინის ორი ჩხირი მდუღარე წყალში. სახლში საოცარი არომატი დატრიალდება. შეგიძლიათ სხვა არომატიც დაუმატოთ, მაგალითად, ვაშლი ან ვარდის ფურცლები.

ᲡᲝᲓᲐ - აბა, დაფიქრდით, უსიამოვნო სუნი სამზარეულოს ნიჟარიდან ხომ არ მოდის? ნახეთ ეს ეფექტური და მარტივი მეთოდი, რომელიც თქვენს ნიჟარას, ზედაპირიდან დაწყებული მილებით დამთავრებული, იდეალურად გაასუფთავებს.

ᲕᲐᲜᲘᲚᲘ - პატარა ჯამში თბილი წყალი ჩაასხით და მასში ვანილი (ესენცია ან ფხვნილი) გახსენით. ჯამი რადიატორთან მოათავსეთ და დატკბით ვანილის სასიამოვნო არომატით.

ბონუსი: ვანილი საცხობ ფორმას მოაყარეთ და 15 წუთით 250 გრადუსზე გახურებულ ღუმელში მოათავსეთ. ღუმელის კარის გაღება და სახლის ვანილის ალში გახვევა ერთი იქნება.

ᲡᲣᲜᲐᲛᲝ - მიასხურეთ ჩამქრალ, ცივ ნათურას თქვენი საყვარელი სუნამო. ნათურა რომ გათბება, მთელ ოთახში სასიამოვნო არომატი დატრიალდება.

ფსიქოლოგიური შიმშილი: რატომ ვჭამთ, როცა არ გვშია

თანამედროვე ადამიანი აქტიურ რეჟიმში ცხოვრობს, ხშირად არის დაძაბული, იმყოფება სტრესულ სიტუაციაში. მას ემოციები ეძალება და საკვებით ცდილობს ქვეცნობიერად დაახშოს შიში, მოწყენილობა, იმედგაცრუება. ამ დროს საჭმლის ან სასმელის მიღების რეალური მოთხოვნილება არ არის.

საუბარია ფსიქოლოგიურ შიმშილზე, რომელიც ზედმეტი ჭამის, გასუქებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევის მიზეზი ხდება. წონასწორობის დაუცველობა ჭამის დროს იწვევს ჰარმონიის დაკარგვას საკუთარ ცხოვრებაში. პრობლემისგან გასათავისუფლებლად საჭიროა ვიცოდეთ ის ფარული მიზეზი, რაც გვაიძულებს – მორიგი ბუტერბროდის ან შოკოლადისთვის სამზარეულოში შევიდეთ.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

ფსიქოლოგებმა შენიშნეს, რომ საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები პაციენტების უმრავლესობაში უკავშირდება შინაგან დისბალანსს და ხშირად ეს ბავშვობიდან მომდინარეობს. ფსიქოლოგიური მიზეზის გამოვლენის შემდეგ ადამიანი აცნობიერებს, რატომ ჭამს ზედმეტს და აქტიურად იწყებს წონის დაკლებას, ადვილად აკონტროლებს მადას.

ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

დაბადებიდან პირველ წუთებში ცხოვრებაში უმთავრესი კონტაქტი ხდება – ჩვილს დედის მკერდზე აწვენენ და საკვების პირველ პორციას აძლევენ. ეს მჭიდრო კავშირს აყალიბებს და სრული დაცვის შეგრძნებას აჩენს. თუ „მოზრდილთა“ კვებაზე გადასვლა წარუმატებლად ან ძალიან გვიან მოხდა, ბავშვი დამოუკიდებლობის შეგრძნებას ვერ იძენს.

ზოგიერთ ბავშვთან დაკავშირებით ძუძუსგან მოშორება მკვეთრად, ხანდახან დედის ყვირილის თანხლებითა და დიდი სტრესით ხდება. ქვეცნობიერ დონეზე რჩება შეგრძნება, რომ კმაყოფილების, მხარდაჭერის, დაცვისა და სითბოს გრძნობა მხოლოდ ჭამის დროს მიიღება.

ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ

ორგანიზმის სასიცოცხლო უნარის შესანარჩუნებლად საჭიროა მრავალი კალორია, საკვები ნივთიერება, მიკროელემენტი. შიმშილის ბუნებრივი გრძნობა – ესაა ტვინის სიგნალი, რომ ორგანიზმს არ ჰყოფნის საკვები და ჟანგბადი. სხეულში მცირდება ბევრი ქიმიური პროცესი, ამიტომ ადამიანი ხდება გონებაგაფანტული, გაღიზიანებული, აღგზნებული.

ფიზიოლოგიური შიმშილი – ეს მრავალი რთული პროცესის ჯაჭვია. სანამ ამ შეგრძნებას მუცელში იგრძნობთ, მანამდე მცირდება შაქრის დონე, ნელდება მეტაბოლიზმი, იცვლება სისხლის ბევრი მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ადამიანები ყოველთვის ვერ აკონტროლებენ სიმაძღრის გრძნობას, ყურადღებას მათ გაჯეტები და ტელევიზორის ყურადღება უფანტავს და ამიტომ ბევრს ჭამენ.

ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ „ᲕᲜᲔᲒᲐ“

ორგანიზმს, სიცოცხლისა და მეტაბოლიზმის შესანარჩუნებლად, საკვების მცირე ულუფა სჭირდება. მაგრამ საჭმლისადმი თანამედროვე დამოკიდებულებამ სადილი ნამდვილ რიტუალად აქცია, რომელსაც თან ახლავს კერძების მომზადების სირთულე, ლამაზად გაფორმება, გემოს გამაძლიერებლების დამატება. ის ჩვენში გარკვეულ რეფლექსს ამუშავებს: საკმარისია დესერტით ან სალათით სავსე თეფშის დანახვა, რომ ორგანიზმში ინსულინის გამომუშავება იწყება, იღვიძებს შიმშილის გრძნობა.

პრობლემა გემოს რეცეპტორების მომატებულ აღგზნებადობას უკავშირდება. ისინი ამაში რთავენ ტვინის ცენტრებს, რომლებიც კმაყოფილების მიღებაზეა პასუხისმგებელი. ეს სასიამოვნო შეგრძნებები რომ გახანგრძლივდეს, იმაზე მეტს ვჭამთ, ვიდრე ეს აქტიურობის შენარჩუნებისთვის არის საჭირო.

ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ზოგიერთ ადამიანს საჭმელი სასიამოვნო მოგონებებს ან შეგრძნებებს აღუძრავს. საყვარელი დესერტის პორციით ის ცდილობს დაიბრუნოს სულიერი წონასწორობა და სიმშვიდე, გადალახოს მოწყენილობა ან ჩაახშოს მრისხანება. ის საჭმელს იყენებს, როგორც ანტიდეპრესანტს და ასეთ დროს შიმშილს ემოციური ელფერი დაჰკრავს.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

ფსიქოლოგების კვლევებმა აჩვენა, რომ სადილი დიდ კომპანიაში ადამიანებს ბევრის ჭამას „აიძულებს“. სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯგუფზე დაკვირვებამ აჩვენა ერთგვარი კანონზომიერება, რომ მეგობრებთან ერთად ჭამის დროს ისინი 30%-ით მეტს ჭამდნენ. ფიზიოლოგიური შიმშილის მოსაკლავად საშუალოდ 11 წუთია საჭირო. შემდეგ უკვე ჩნდება ურთიერთობებისა და პოზიტიური ემოციების საჭიროება. სწორედ ამით აიხსნება, რატომ ვჭამთ მეტს წვეულებებზე, შეკრებებზე.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲗ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲡ

საჭმლის მიმართ ქცევის დარღვევის დროს ტვინს უჭირს გაარჩიოს, რომელია ნამდვილი შიმშილის გრძნობა და რომელი – ცრუ სიგნალი. მაგრამ ფსიქოლოგები რამდენიმე სასარგებლო რჩევას გვაძლევენ, თუ როგორ „დავარეგულიროთ“ ნერვული სისტემა და გავუმკლავდეთ ნეგატიურ ემოციებს ჭამის გარეშე.

ებრძოლეთ სტრესს. ჰორმონების – კორტიზოლისა და ადრენალინის მომატება ახშობს დოფამინის დონეს, რომელიც სიმაძღრის სიგნალებს აგზავნის. რთული და მძიმე დღის შემდეგ, ვახშმის წინ მსუბუქი ვარჯიში გააკეთეთ – დაჯექით მოხერხებულად, დახუჭეთ თვალები, ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ რამდენჯერმე. იგრძენით სასიამოვნო მოდუნება, განერიდეთ სიტუაციას და წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც არა აქვს პრობლემები ზედმეტ ჭამასთან დაკავშირებით, ჭამს აუჩქარებლად და კმაყოფილებით.

არ დაივიწყოთ აქტიურობა. ბედნიერების ჰორმონის დონის გაზრდასა და სტრესული მდგომარეობის შემცირებას ფიზიკური დატვირთვები შველის. მეტი ისეირნეთ, იმოძრავეთ, იცეკვეთ, ირბინეთ, იცურავეთ... ორგანიზმი თანდათანობით მიეჩვევა, რომ კმაყოფილების მიღება ჭამის გარდა სხვა რამისგანაც შეიძლება.

გახსოვდეთ სასმელის რეჟიმი. ტკბილი და გაზიანი სასმელები მხოლოდ აძლიერებს მადას. შიმშილის ცრუ სიგნალის მოსახსნელად მიიღეთ მეტი წყალი სუფთა სახით, დანამატების გარეშე. დალიეთ ერთი ჭიქა წყალი ჭამამდე. ხანდახან ჩვენს ტვინს სიგნალები ერევა და წყურვილის სურვილს ჭამის სურვილად აღიქვამს.

მიიღეთ მეტი ცილა. შეწყვიტეთ „ფუჭი კალორიების“ მიღება, უარი თქვით ტკბილეულზე, ფასტფუდზე. შეიტანეთ რაციონში ინდაურის ხორცი, მარცვლოვანი კულტურები, ავოკადო, რძის პროდუქტები. ისინი გვაძლევენ ვიტამინებს, მიკროელემენტებს და აჩენენ სიმაძღრის გრძნობას.

• სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგიური შიმშილი საშიში დამოკიდებულებაა, რომლის დამარცხებაც პროფესიული დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე რთულია. საჭიროა, რომ აღიაროთ პრობლემა, დაიწყოთ მუშაობა მის გადასაჭრელად. უნდა შეწყვიტოთ ემოციების საჭმელით ჩანაცვლება. გაიმდიდრეთ ცხოვრება პოზიტიური ურთიერთობებით, სასარგებლო საქმეებით, რათა სტრესისგან გათავისუფლდეთ.

ზურაბ იაკობიშვილი საფრანგეთის „გრან-პრის“ გამარჯვებულია

15-17 იანვარს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ჩატარდა „გრან-პრის“ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს 23 ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები, მათ შორის საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყო 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ზურაბ იაკობიშვილი, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო შარშანდელი წელი გაუცდა, (საგულისხმოა, რომ მან ოპერაცია გაიკეთა საფრანგეთში). მიუხედავად ამისა, მან შესანიშნავად იჭიდავა 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში, დაამარცხა რუმინელი, უნგრელი, შვეიცარიის, სლოვაკეთის წარმომადგენლები, ფინალში კი მოლდაველ მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი (ვადაზე ადრე) და ღირსეულად გახდა საფრანგეთის „გრან-პრის“ გამარჯვებული.

თებერვლის თვეში უკრაინაში ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდობაში. წარმატება ვუსურვოთ ზურაბ იაკობიშვილს (მწვრთნელები: გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე).

ალექსანდრე გიგილოშვილი

ღმერთო, გვიმრავლე ნუგზარისთანა კეთილსინდისიერი და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, რომელიც მართავდა უზარმაზარ ქვეყანას, მიღებული იქნა დადგენილება საზღვარგარეთიდან შემოსული ავტომანქანების აკრძალვის შესახებ და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მკაცრი ზომები მიეღოთ ასეთი მანქანების მეპატრონეთა მიმართ.

ყვარლის რაიონში მხოლოდ სოფელ შილდაში აღმოჩნდა ერთადერთი ავტომობილი და მისი მეპატრონე რაიკომის ბიუროზე მოიყვანეს და მკაცრადაც დასაჯეს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით მხოლოდ ჟიგულები და მოსკვიჩები დანავარდობდნენ იმ დროისთვის.

ახლა კი, 50 წლის შემდგომ სურათი დიამეტრიულად შეიცვალა და საზღვარგარეთიდან შემოსული სხვადასხვა მარკის ფირმა მანქანების ბუმია. უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად მოიმატა ავტომობილების რიცხვმა და ამას თვალნათლივ ვხედავთ ქალაქ ყვარელშიც. სამწუხაროდ, ქვეყნის ავტო პარკის უმეტესობა მეორადი ავტომობილებია და ხშირად საჭიროებენ შეკეთებას.

ავტოშემკეთებლების რიცხვი შესაბამისად იზრდება, მაგრამ, სამწუხაროდ ყველა როდია სინდისიერი, ზოგიერთი ცდილობს რაც შეიძლება მეტი გამოძალოს მეპატრონეს, სამუშაო კი უხარისხოდ შეასრულოს.

პირადად მე, ამ წერილის ავტორს, მომიწია საქმე მქონოდა თაღლითთან და უსინდისო პიროვნებასთან, რომელსაც ავტომობილი მივუყვანე ძრავის შეკეთების მიზნით. იმ პერიოდში ძრავის კომპლექტი 300-400 დოლარი ღირდა, მან კი ერთი წლის მანძილზე 1000 დოლარამდე დამახარჯინა და იმდენად „ხარისხიანად“ შეაკეთა ძრავა, რომ ერთ თვეში „დასტუდა“.

მაგრამ, ხომ არიან მათ შორის კეთილსინდისიერი ადამიანებიც, რომლებიც შეღავათიან ფასებში მოგემსახურებიან და მათ მიერ შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილი რჩება ავტომფლობელი. ასეთი ავტოშემკეთებლები შექებას და დაფასებას იმსახურებენ.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იშვიათად, მაგრამ მაინც ვახერხებთ ასეთი ადამიანების წარმოჩენას.

დღევანდელი ნომრის სტუმარია ავტოშემკეთებელი, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს, რათა ოჯახს სარჩო არ შემოელიოს და შვილიშვილებს ნუგბარი არ მოაკლდეთ. ეს პიროვნება გახლავთ ნუგზარ ალიაშვილი, კაცი, რომელიც 17 წლის ასაკიდან დაეუფლა ავტოშემდუღებლის პროფესიას და აგერ 50 წელზე მეტია ამ საქმიანობას მისდევს. ხელობა ოთარ შუხოშვილთან ისწავლა, რომელიც ახლახანს გარდაიცვალა და უაღრესად წუხს, რომ მასწავლებელთან, მეგობართან ურთიერთობა აღარ ექნება.

ბატონი ნუგზარი ტკბილად იხსენებს იმ დროს, როცა ყვარელში ტელეაპარატების ქარხნის ფილიალი ფუნქციონირებდა და უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული. ფილიალი მაღალხარისხოვან ელექტრონულ მოწყობილობებს ამზადებდა თვითმფრინავებისა და გემებისათვის. ფილიალის დახურვის შემდგომ იმუშავა გაზკანტორაში, წყალთა მეურნეობის სამმართველოში, ბოლოს კი ქინძმარაულის მეურნეობაში სატრაქტორო პარკს ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში თითქმის ყველა დასაქმებული იყო და ეკონომიურად გაჭირვებულს იშვიათად ნახავდით – ამბობს ღვაწლმოსილი პროფესიონალი. დღეს კი ასეთი ორგანიზაციები და საწარმოები აღარ არსებობს.

ამიტომაც დაუბრუნდა ყმაწვილობაში ნასწავლ ხელობას და უფუნქციოდ დარჩენილ ყვარლის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ერთ ოთახში მოაწყო სახელოსნო, სადაც არემონტებს ავტომობილებს ხარისხიანად, შეღავათიან ფასებში და ყველა ემადლიერება.

საგულისხმოა, რომ ვაჟშვილი მამის ხელობას დაეუფლა და თბილისის პრესტიჟულ საწარმოში საქმიანობს დღეს.

ბატონი ნუგზარი უზომოდ შეყვარებულია მშობლიურ ყვარელზე და მეტად განიცდის, როცა ზოგიერთი ადამიანი ქალაქის ქუჩებს ანაგვიანებს. მის საცხოვრებელ უბანში ნაგვის ურნის გარშემო ყოველთვის მიმოფანტულია ათასგვარი ნარჩენი და იძულებულია თვითონ გაასუფთაოს.

ღმერთო, გვიმრავლე ნუგზარისთანა კეთილსინდიდერი და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანები.

ალეკო ქაფიანიძე

„დედამიწისკენ ცის სამყაროდან თრთოლვით მივიკვლევ გზას“

ის, როგორც პოეტი და პოეზიის მოყვარული ქალბატონი, რაიონმა ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაიცნო, – პირველად ერთი ლექსით შემოვიდა რედაქციაში და მკითხველთა მოწონებაც დაიმსახურა. ეს ქალბატონი სოფელ ახალსოფლის მკვიდრი ნათია სირაძეა. მას შემდეგ იგი ხშირი სტუმარია რედაქციის. არის თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნება. მას ჩაცმის სტილიც სხვანაირი აქვს, – უყვარს შლიაპები და მოკლე კაბები, რაშიც თავს კომფორტულად გრძნობს. მისი ასეთი სახის აქსესურებიდან გამომდინარე, გამვლელების ყურადღებასაც იპყრობს. მისი ლექსები მრავალფეროვანია. ერთ-ერთ ლექსში იგი თავს მარტოსულად გრძნობს და იმედს მაინც არ კარგავს. „ახლაც მარტო ვარ, არ მყავს მეწყვილე, საფრენად კი ვარ მზად“.

შეყვარებულია პლაჟის ქვიშაზე, ზღვაზე და მუსიკაზე, – სადაც ამბობს – ქვიშაზე ვწევარ, უეცრად, ჯიბის რადიოს ვრთავ, ვეძებ მუსიკას, ვპოულობ, კლასიკურს ოდნავ მშვიდს, – რახმანინოვი? ო, ღმერთო, ფიქრებს ზღვასავით შლის, აქ უნდა იყო პოეტი და არაფერი სხვა!

ჰყავს შვილები – ორი ქალიშვილი და ვაჟიშვილი დავითი, რომელიც თბილისში ჯვართამაღლების ეკლესიის ხატმწერი მსახურია. ქალბატონს სწამს ღმერთი და ყოველთვის მისი იმედი აქვს. ზამთრობით თბილისს აფარებს თავს, გაზაფხულობით კი მშობლიურ სოფელს მიაშურებს და სამეურნეო საქმიანობით ირთობს თავს.

ქალბატონ ნათიას თავად გავესაუბრე თავისი პოეზიისა და ოჯახის შესახებ.

– ქალბატონო ნათია, ლექსის საწერად როდიდან აიღეთ კალამი ხელში?

– სიმართლე გითხრათ, პირველად კალამი 9 წლის ასაკში ავიღე. ვერ ვიტყვი იმას, რომ მაინცდამაინც სამი, ოთხი წლის ასაკში რაღაცას ვქმნიდი და ვიგონებდი. ეს იყო დაახლოებით მეორე, მესამე კლასში.

– როგორ და რა დროს შემოდის პოეზია შენში?

– პოეზია ჩემში შემოვიდა კი არა, შეიძლება ითქვას, შემოფრინდა და ისე ლამაზად ჩამავლო თავისი „კეთილი“ კლანჭები“, რომ აღარც გამიშვა. დღემდე ასე ვარ. ლექსის გემო გავიგე მაშინ, როცა დავიწყე ლექსების კითხვა. რა თქმა უნდა ვკითხულობდი სხვადასხვა ცნობილი ქართველი პოეტების შესანიშნავ ლექსებს, ვკითხულობდი უცხოელი პოეტების ლექსებს ქართული თაგრმანით და ისინიც ძალიან მომწონდა. ბავშვობაში მაჩუქეს ერთი რვეული, სადაც ძალიან ლამაზი ლექსები ეწერა სიყვარულზე და სამშობლოზე. ოღონდ არ ვიცი ვინ იყო ავტორი. მე ვკითხულობდი ამ ლექსებს და ვაკითხებდი ჩემს მეგობრებს, ჩემს თანაკლასელებს. აი, ეს ლექსებიც გახდა შთაგონების წყარო შემდგომში, რათა ლექსის წერას ვზიარებოდი. სწორედ მაშინ დავწერე პირველი ლექსი, სადაც იმედგაცრუებული შეყვარებულის გრძნობებია გამოხატული და არის ერთ კუპლეტიანი.

„ერთხელ, როდესაც ღამე ვიდოდი,
მე მაშინ შემხვდა ჩემი სატრფო და –
არც მომესალმა, არც დამიძახა,
არც მომეფერა და არც მაკოცა“.

სიმართლე უნდა გითხრათ, ასეთი თამამი სტრიქონები, (თან ძალიან მორცხვი ბავშვი ვიყავი), მოზრდილობაშიც არ დამიწერია. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი პოეზიისაკენ. შემდეგ ამას მოჰყვა კიდევ სხვა და სხვა ლექსები და მეც აღმაფრენას ვგრძნობდი. რა თქმა უნდა, ჯერ დაუხვეწავი იყო და გაურანდავი ჩემი ლექსები, მაგრამ მე ძალიან მიხაროდა, როცა ლექსს ლექსი ემატებოდა.

– რას გვეტყოდით თქვენი ოჯახის შესახებ?

– რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ეს ამ ახალი წლისთვის მეტად მტკივნეული თემა გახდა ჩემთვის. მე მყავდა მეუღლე მიხეილ კახიძე, რომელიც მოულოდნელად (რომ არც გვიფიქრია) გარდამეცვალა. არც მინდა დავიჯერო, რომ ეს სიმართლეა. ძალიან მიჭირს. ჩვენ წლებმა დაგვაახლოვა და უკვე კარგი მეგობრები ვიყავით. ერთად ვგეგმავდით ყველაფერს და ერომანეთს მხარში ვედექით. სულ ფიქრობდა სხვა ადამიანებზე, რითი დახმარებოდა. ძალიან გამიჭირდება მის გარეშე ყოფნა მის მშობლიურ უსაყვარლეს სოფელ – ახალსოფელში.

მადლობა ღმერთს, მყავს სამი შვილი და სამი შვილთაშვილი. ერთი ვაჟი მყავს, ორი ქალიშვილი. ვაჟი ახლახანს დაქორწინდა, მადლობა ღმერთს.

ჩემი ვაჟი მხატვარი და ხატმწერია. მუშაობს თავისი პროფესიით, მეუღლეც თავისი პროფესიის შეხვდა. გოგონები – ერთი მკერავ-მოდელიორია, მეორე გობელენის მქსოველი. შვილიშვილები ვაჟები არიან, სამივეს აქვს მისწრაფება ხელოვნებისკენ – მხატვრობისკენ. თუმცა, უფროსი სპორტითაც არის დაკავებული.

ასე, რომ ჩვენს ოჯახში, ვიტყოდი, რომ მაინც ხელოვნების დღესასწაულია.

– თქვენს დაწერილ ლექსებში წუნს ვერავინ შეიტანს, წერთ შინაარსიან, გაწონასწორებულ და ლამაზ ლექსებს ყველანაირ თემაზე. როგორ ახერხებთ ამას?

– უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი კარგი შეფასებისათვის. ლექსის წერა ძალზე იდუმალი პროცესია – ისე მოდის სიტყვები და აზრები, ზოგჯერ თვითონ უკვირს ადამიანს. ეს ყელაფერი უფლის წყალობაა.

მიყვარს ძალიან სილამაზე. მიყვარს ლამაზი ბუნება, ლამაზი ადამიანი ქალია თუ მამაკაცი, ლამაზი ნივთი, ძალზე მიყვარს ლამაზი სულის ადამიანები. მიყვარს ლამაზი სიტყვა, აზრი. შეიძლება სადმე გავიგონო, ან წავიკითხო ლამაზი სიტყვა და მასზე ავაგო მთელი შემოქმედება. ეს მართლაც უფლის წყალობაა და მე ყოველი ახალი ლექსის დაწერის შემდეგ უფალს მადლობას ვუხდი.

– სხვა რომელიმე გამოცემაში თუ იბეჭდება ხოლმე თქვენი ლექსები?

– საბედნიეროდ, ჩემი ლექსები იბეჭდებოდა და იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ გაზეთში „დედა“, (მაშინ იყო ასეთი გაზეთი), გაზეთში „რაეო“, სადაც რაჭისა და რაჭველების ცხოვრებაა ასახული. მე, როგორც წარმოშობით რაჭველი (დაბადებული ვარ თბილისში), სიამოვნებით მიბეჭდავდნენ ლექსებს. ასეთი იყო გაზეთი – „სიყვარული“, რომელიც თემატურად ახლოს იყო ჩემს პოეზიასთან. და კიდევ არის საკმაოდ სერიოზული, მრავალფეროვანი ჟურნალი სახელწოდებით „ათინათი“, ეს ჟურნალი ცნობილი ველოსპორტსმენის, ბატონ ნუგზარ ლეჟავას სახელობისაა. მის სიცოცხლეშივე ჩაეყარა საფუძველი ამ ჟურნალის არსებობას, ხოლო რედაქტორი ამ ჟურნალის გახლავთ, არაჩვეულებრივი, გულთბილი, სათნო ადამიანი, პოეტი, „ათინათის“ პრეზიდენტი, ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი. მაქვს პატივი და ბედნიერება ამ ჟურნალთან თანამშრომლობისა. ხშირად იბეჭდება იქ ჩემი ლექსები. ხშირად ტარდება პოეზიის საღამოები საჯარო ბიბლიოთეკაში, მწერალთა სახლში, სადაც ვკითხულობთ საკუთარ ლექსებს. ეს ძალზე კარგი რამ არის ჩვენთვის, კალმოსანი ადამიანებისთვის.

– როგორც ვიცი, მსახიობობთ კიდეც. გვიამბეთ ამის შესახებ.

– პროფესიას, რომელსაც ძალიან ვაფასებ, ეს არის მსახიობის პროფესია. ბავშვობიდანვე, რადგან მიდრეკილი ვიყავი ხელოვნების მიმართ, ძალიან მინდოდა მსახიობობა. მინდოდა შემესრულებინა კეთილი, დადებითი როლები. არასოდეს მყვარებია უარყოფითი როლები. მე დავამთავრე მუსიკალური ათწლედი ფორტეპიანოსა და ვოკალურის განხრით. შემდეგ შევიტანე საბუთები თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ ქულა დამაკლდა და ვერ მოვხვდი, თუმცა თანამშრომლად მაინც დავიწყე მუშაობა. იქ გავიცანი მსახიობები, რეჟისორები. ესენი იყვნენ ნინელი ჭანკვეტაძე, ლევან უჩანეიშვილი (ჰოლივუდის ვარსკვლავი), რეზო ჩხიკვიშვილი, ნატაშკა შენგელაია, და ბევრი შემდეგში ცნობილი მსახიობები. აი, ამათ გარემოცვაში გახლდით და ეს ძალზე მახარებდა.

ერთხელ წავედი კინოსტუდიაში (მაშინ ძალიან გამიმართლა). იმ დროს ჩემი უსაყვარლესი მსახიობი ლეილა აბაშიძე იღებდა ფილმს – თბილისი – პარიზი. მე მოვეწონე ქალბატონ ლეილას და ფილმზე დამტოვა – მასიურ სცენაში ვმონაწილეობდი. შემდეგ ლეილას დუბლიორი დასჭირდა, ამდენ გოგონებში მე ამომარჩია, ჩამაცვა თავისი სამოსი, დაწყებული ძვირფასი „შლიაპით“, დავჯექი ფაიტონზე, ვითომ ლეილა ვიყავი. გადაღების ზოგიერთმა წევრმა მართლა ვერ მიცნო და ქალბატონ ლეილათი მომმართავდნენ. თუმცა ვინც მიცნო, ისინი პასუხობდნენ, ეს ჩვენი ნათია არისო. ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი ფილმი. შემდეგ იყო რაღაც ფილმები, მე მასიური სცენაც მიხაროდა.

ახლა, დღესდღეობით, ჩვენი აკადემიის რეჟისორი, ბატონი ნიკო ბაღაშვილი მიღებს მოკლემეტრაჟიან ფილმებში. იქ გარკვეული როლებიც მაქვს.

– საკმაოდ ბევრი ლექსი დაგიგროვდათ, თუ ფიქრობთ მათ ერთად აკინძვას და მის წიგნად გამოცემას, რომელიც ჩვენი მკითხველისთვისაც ერთგვარი საჩუქარი იქნება.

– ძალიან დიდი ხანია, წიგნის გამოცემაზე ვოცნებობ, სულ ახალგაზრდობიდან. მე თვითონ მიკვირს, აქამდე როგორ ვერ გამოვეცი კრებული. ადრე ეს საკითხი იოლი იყო. რედაქცია უფასოდ უბეჭდავდა წიგნებს მიმწოდებელს. ახლა ეს ყველაფერი საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. წიგნი მაინც ძალიან მინდა, რომ გამოვიდეს.

ქალბატონო ნათია, დაგლოცავთ, გილოცავთ იუბილესაც და ჩვენი გაზეთის მკითხველის სახელით გისურვებთ ყოველი ახალი წელი ფეხბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახისათვის.

თქვენი ახალი ლექსები კი საინტერესო იქნება როგორც პოეზიის მოყვარულთათვის, ისე ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც.

როლი

გამკიცხველები? ბევრი მყავს
ტაშისდამკვრელი – ცოტა,
– რა ვუყოთ, მეც კი შემშლია
ასე ვაგროვებთ ცოდვას.

ზოგი ზერელედ მიყურებს
ბევრმა – დამიწყო კბენა,
ვერ გამიგია, ასეთებს
გული მართავთ თუ ენა?!

ზოგს – უგუნურიც ვგონივარ
იქნებ ზოგიერთს – შტერიც,
– რა გინდათ, შემოგიტიოთ?
და გავიმრავლო მტერი.

მუდამ ღვთის შიშით ვცხოვრობდი
ღვთის შიშით ვცხოვრობ კვლავაც,
დავდივარ ეკალ-ბარდებში
გზას ძლივ-ძლივობით ვკვალავ

და ვურიგდები ბედ-იღბალს
იქნება ასე სჯობდეს,
დასაშვებია? მითხარით,
კარგს ჰქმოდე! მაინც გგმობდნენ.

გამხნევდი! ვიღაც ჩამძახის
და არ იჯერებს ყური,
დავიწყებია იმ სანყალს
ალბათ – ბოღმა და შური.

ჰაი დედასა! რას უძლებს
ეს სიფრიფანა სული,
დარდი – რაღაცას დარდობს და...
ცაში მიაფრენს სურვილს.

ე, რა ყოფილა ცხოვრება
თეატრი, სცენა, ფარდა,
ზოგი – კარს ებღაუჭება
ზოგი – იმ კარსაც კარგავს.

ჩემი სამყარო, თუმცაღა
ბრჭყვიალებს, როგორც ბროლი,
მომარგეთ, თუ შეგიძლიათ
ისევ – დედოფლის როლი!!!

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86